645
1966

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1966 წ.



# რუსთაველები

ლაბორანტი ემა ჩუტლაშვილი.

ფოტო დ. იაკობაშვილის

# პასუხობენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპროლაქტამი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეპოქის პროდუქტია. თანამედროვე ტექნიკა და თვით ყოფაცხოვრება ახლა უკაპრონოდ წარმოუდგენელია. მისგან მრავალი რამ მზადდება, წინდიდან დაწყებული და ურთულესი მანქანებითა და კვანძებით დამთავრებული.

მართლაც, სინთეზური მასალები სულ უფრო მძლავრად იჭრება ცხოვრებაში და ბრძანებლურ სიმაღლეებს იკავებს, დიდ საფრთხეს უქმნის ლითონის მრავალსაუკუნოვან და თითქმის განუყოფელ ბატონობას. და განა მარტო მას? პირველობას იჩემებს სახელგანთქმულ და უბადლო მერინოსის მატყლთან, ბუნებრივ ტყავთან და კაუჩუკთან ბრძოლაშიც.

სიმტკიცე და სიმსუბუქე, სილამაზე და სიიაფე —აი მათი უმთავრესი „კოზირი“.—ასეთი ყოვლისშემძლეობის პრეტენზიით დაიწყო არსებობა სინთეზურმა მასალებმა, და არცთუ უსაფუძვლოდ.

კაპროლაქტამი, რომელსაც რუსთავში იღებენ, არის ძვირფასი ნედლეული, მისი პოლიმერიზაციით გამოჰყავთ მაღალმოლეკულური პლასტიკური მასალა, რომლისაგანაც მზადდება მეტად მტკიცე და გამძლე ხელოვნური ბოჭკო—კაპრონი, დამცავი საფარველი, ხელოვნური ჯაგარი. მათ ხმარობენ წინდის წარმოებაში, საფეიქრო და რეზინის მრეწველობაში.

ჩვენი ქალების დიდი ნაწილისათვის კაპრონი ეს მხოლოდ ლამაზი წინდები და ფანჯრის ჰაეროვანი ფარდებია, გამჭვირვალე საცვლები და მიმზიდველი საკაბეებია. მათ ნაკლებად იციან, რომ ავტომობილების საბურავებისათვის საჭირო კორდის ძაფიცა და მრავალი სხვა ტექნიკური ქსოვილიც მისგან მზადდება.

რუსთავის ქიმიური კომბინატი ორი დიდი საწარმოსაგან შედგება —აზოტოვანი სასუქებისა და კაპროლაქტამის ქარხნებისაგან. ეს კომბინატი ჭეშმარიტად ქიმიური ინდუსტრიის გიგანტის შთაბეჭდილებას სტოვებს. კაპროლაქტამის ქარხანა სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ ჩადგა მწყობრში. კაცმა რომ თქვას, კაპროლაქტამის წარმოება, როგორც ქიმიური მრეწველობის დარგი, ჩვენში ორ ათეულ წელიწადს ძლივს ითვლის. ხნოვანებით თვით საწარმოს კოლექტივიც თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია. მისი საშუალო ასაკი 25 წელია. საწარმო რამდენიმე ასეულ კაცს აერთიანებს და მათ შორის 70 პროცენტზე მეტი კომკავშირელია.

შორს ნუ წავალთ, დირექტორით დავიწყოთ. გ. გოგოლაძე მხოლოდ 30 წლისაა. ბევრი კი მოასწრო. რვა წელიწადია, რაც აქ არის, აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, ამ ხნის მანძილზე გაიარა საქარხნო ცხოვრების იერარქიის ყველა საფეხური ქვევიდან ზევით: მეაპარატედაც იყო, ცვლის ოსტატადაც და ცვლის უფროსადაც. ერთ ხანს საამქროს ტექნოლოგად მუშაობდა. ბოლოს ქარხნის მთავარი ტექნოლოგი იყო, როცა დირექტორობა შესთავაზეს. მთავარ ინჟინერს—დემნა ყარაულაშვილს —შავტუხა ხუჭუჭა ახალგაზრდას კი ჭაბუკს თუ დავუძახებთ, დიდი ცოდვა როდი იქნება. ის დირექტორზე ორი წლით უმცროსია.

...სადისპეტჩეროს გვერდით პატარა ოთახში მომცრო ტანის გოგონა ზის და გულდასმით ავსებს რაღაც ფურცელს. ლაბორანტ ემა ჩუტლაშვილს ანალიზის მონაცემები შეაქვს საბუთებში. ანალიზისათვის კი იგი ცვლაში რამდენჯერმე გადის ნედლი ლაქტამის საამქროში, ჩამოუვლის აპარატებს, იღებს სინჯს და მოაქვს შესამოწმებლად.

ემა გურჯაანელია. 12 წლის იყო, როცა მამამისი რუსთავში გადმოვიდა ამწემშენებლად. ემამ აქ დაამთავრა საშუალო სკოლა. მეცხრე კლასიდან მოკიდებული, ქიმიურ ქარხანაში გადიოდა საწარმოო სწავლებას, შემდეგ სპეციალური ინსტრუქტაჟი გაუწიეს მას და მის თანატოლებს, მეაპარატის კვალიფიკაცია მიანიჭეს და გაუშვეს. აკი გამოადგა ქარხანაში მიღებული ცოდნა. ისევ უკან დაბრუნდა, ძირითად პროფესიად ქიმიკოსობა აირჩია, ჯერ მეაპარატედ იყო, შემდეგ კი ლაბორანტობა მიანდეს.

ოთხ სტადიას გადის ნედლეული ამ საამქროში — ოქსინირებას (ოქსიუმის მიღებას), ეგრეთწოდებულ გადაჯგუფებას, როცა იღებენ კაპროლაქტამის ეთერს, ნეიტრალიზაციას (ამ დროს ნივთიერება ნედლ ლაქტამად იქცევა) და ექსტრაქცია-რეგენერაციას, როცა ნედლ ლაქტამს წმენდენ და კაპროლაქტამის წყალხსნარი რჩება. ეს უკვე ნახევარფაბრიკატია და იგი სხვა საამქროში გადადის შემდგომი პროცესის გასავლელად. სულ 16 ტექნოლოგიური ციკლი უნდა გაიაროს ნედლეულმა, ვიდრე აქაური პროდუქცია თავის საბოლოო სახეს მიიღებდეს.

და აი ამ ოთხივე სტადიაზე იღებს სინჯსა და გულდასმით ამოწმებს ემა ჩუტლაშვილი პროცესის მიმდინარეობას, სადმე რამე შეფერხება არ იყოს. ისიც ამოწმებს და მისგან დამოუკიდებლად აპარატებიც ამოწმებენ. შემდეგ ადარებენ მანქანისა და კაცის ნამუშევარს და თუ განსხვა-

უფროსი მეაპარატე ნელი კერესელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვება აღმოჩნდა მათ შორის, ემას მონაცემს ანიჭებენ უპირატესობას. იტყვით: აკი ამბობენ, მანქანა უფრო ზუსტი და მიუდგომელიაო. რა ვუყოთ, ადამიანი ცოცხალი არსებაა თავისი ხუთივე გრძნობით, აპარატი კი თუმცა მოქმედი, მაგრამ მაინც ფაქტების მშრალი და უსულგულო შემფასებელია, და არც ის არის გამორიცხული, რომ შეცდეს. სად კაცი, სად მანქანა! ასეც უნდა იყოს, ადამიანი მაინც ადამიანია!

მაშ რაღა საჭიროა აპარატიო, იფიქრებს ვინმე. მაგრამ ეს გულუბრყვილობა იქნება. აქ ორმხრივი კონტროლი არა მარტო აუცილებელია, სავალდებულოცაა.

ანალიზური კონტროლის გრაფიკი ყოველი ლაბორანტის უმთავრესი საბუთია და ისიც ზუსტად უნდა იცავდეს მას, ისევე, როგორც ემა ჩუტლაშვილი იცავს. ყურადღებას შეანელებს და პროცესი შეფერხდება, არ წავა სწორი გზით, შემდეგ კი სადღაც იჩენს თავს და, შეიძლება დიდი უბედურება მოხდეს, —იქნებ აფეთქდეს კიდეც დანადგარი.

21 წლის ქალიშვილი ემა 4 წელია აქ მუშაობს და წინ მთელი ცხოვრება აქვს.

კორპუსიდან კორპუსში, სართულიდან სართულზე, უბნიდან უბანზე, საამქროდან საამქროში გადასვლისას დარწმუნდებით, რომ აქ ყველაფერი „ფრიად საიდუმლოდ", დახურულად და ფარულად, წყნარად და უხმაუროდ მიმდინარეობს მილებში, აპარატებში, რეზერვუარებში, კომპრესორებში; სადღაც, რომელიღაც რეაქცია ხდება, რაღაც უერთდება და გამოიყოფა, რაღაც დუღს და მშვიდდება, იწმინდება და იფილტრება, ჩქარდება და ნელდება... და მთელი ეს პროცესი ზოგჯერ ვეება, მრავალსართულიან საწარმო კორპუსებში მიმდინარეობს, ზოგჯერ მხოლოდ ზევიდან გადახურულში, ზოგჯერ კი— პირდაპირ ცის ქვეშ, იგი ხან წუთობითა და წამობით გრძელდება, ხანაც —საათობით.

უკან დარჩა საამქროები, სადაც კაპროლაქტამს იღებენ, ახლა ამონიუმის სულფატის საამქროში ვართ. მეგზურად ახალგაზრდა ინჟინერ-ქიმიკოსი, ჟურნალისტობისა და სპორტის მოტრფიალე ალიკა მესხი მახლავს.

—აი, ისიც მოვიდა, —თქვა საამქროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელმაც ფეხის ხმაზე იცნო მოახლოებული და კაბინეტიდან გასძახა: ლენა, მოდიხარ?

— მოვდივარ, —გაისმა საიდღანაც პასუხი. ალიკამ და მე ერთმანეთს გადავხედეთ, ჩვენც სწორედ მას ველოდებით, თუმცა ჯერ მეორე ცვლის მუშაობის დაწყებას თითქმის საათი აკლია. მალე თვითონაც გამოჩნდა ელენე კერესელიძე. კარებში შეჩერდა და სიცილით იკითხა: —როგორ მიცანი? —მაგრამ უცხო რომ შეგნიშნა, სიტყვა გაწყვიტა.

მის მოსვლამდე უკვე ვიცოდით, ვინ იყო ეს ქალიშვილი. იგი საამქროს კომკავშირული ბიუროს მდივანია, უფროსი მეაპარატე. თვით ქარხნის დირექტორმა დაასახელა როგორც წარმოების მოწინავე და აქტიური მუშაკი.

კაპრონის საამქროს მეაპარატე ნაზი გოგუა



— რაჭიდან ხართ? —ვკითხე ლენას.

— როგორ გითხრათ, კიც და არაც.

— ?!

— წარმოშობით კი. ისე ჩრდილოეთ ოსეთიდან — ორჯონიკიძიდან ვარ.

— თერგდალეული ყოფილხართ, —იხუმრა ვიღაცამ.

— მამა იქ მუშაობდა. ხომ გაგიგონიათ, რაჭველი რომ დაიბადება, ხელს შემოარტყამენ და ეტყვიან: ქვე გამოხვალ მეპურე, ქვე გამოხვალ მეხაშე. მეპურეობა აურჩევია და იქ მუშაობდა დიდხანს, პენსიაზე გასვლამდე. ახლა სოფელშია— წესში.

— თქვენ როგორღა მოხვდით რუსთავში?

— მთელი ისტორიაა.

— მაინც.

და მოჰყვა ლენა როგორ გაჩნდა აქ.

ორჯონიკიძელი მოსწავლეები ექსკურსიაზე წამოსულან სამხედრო გზით. ჯერ თბილისში ყოფილან, მერე რუსთავის მეტალურგიული ქარხანა დაუთვალიერებიათ, მას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქართველ და ოს სტუმრებზე. ლენა ბიძას სწვევია რუსთავში, მისთვის გაუნდვია აქ დარჩენის სურვილი. ბიძას მოუწონებია გოგონას განზრახვა და ლენაც მალე გაუფორმებიათ მეტალურგიული ღუმელის შემკეთებელი საამქროს აღმრიცხველად. მერე, როცა კაპროლაქტამის ქარხანა უნდა ამუშავებულიყო, აქ გადმოვიდა. მონტაჟი ჯერ არ იყო დამთავრებული, ახალგაზრდების დიდ ჯგუფთან ერთად გორკის ოლქის ქალაქ ძერჟინსკის ქარხანაში მიავლინეს პრაქტიკაზე. რუსი სპეციალისტების დახმარებით ეუფლებოდნენ ახალ საქმეს მომავალი ქართველი ქიმიკოსები.

მოიგონა ლენამ, როგორ მიიღეს პირველი მარილი რუსთავში.

— ეს საჭმელი მარილი არ გეგონოთ, ქიმიური სასუქია, ნიადაგის გასანოყიერებელი. სწორედ ჩვენს ცვლაში, ჩვენმა ბრიგადამ მიიღო პირველი მარილი. უკვე ვამთავრებდით მუშაობას, დაღლილ-დაქანცულებს არაქათი აღარ გვქონდა, მაგრამ მარილის მიღებამ ყველაფერი დაგვავიწყა. ვილას ახსოვდა დაღლა, სიხარულისაგან არც სახლი გვახსოვდა და არც კარი. მერე პირველი პარტია ისეთი მუქი ჭუჭყიანი იყო, ახლა თოვლივით ქათქათა რომაა, ალბათ ნახეთ, ასეთი კი არ იყო. და ამის მიღებასაც 8 საათს მოვუნდით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, იმდენი ცვლილება მოხდა აპარატში, ვინ მოთვლის!

— ასეა, ასეა, — დაეთანხმა მეგობარი, — ელევატორი მოვხსენით, შნეკები გავაუქმეთ, ბევრი რამ გადავაკეთეთ. ახლა მარილი ორ საათში მზად არის.

დღესაც ისევ იმ ბრიგადაში, იმ ცვლაშია ელენე კერესელიძე, თავის მეგობრებთან: მეაპარატე ჟანა მუმლაძესთან, ლაბორანტ თინა ლობჟანიძესთან, მეაპარატე ქეთევან ლომიძესთან, ლაბორანტ ნათელა დალაქიშვილთან ერთად. მუდამ გადაჭარბებით ანაღდებს გეგმებს. ისინი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ვახტზე დგანან და წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ს. ხარაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი მარი

# ძველი პლედი

ვლადიმერ ილიას ძეს სათუთად უყვარდა თავისი დედა.

კრემლში, ლენინის ბინაში, რამდენიმე ნივთმა შემოინახა ხსოვნა დედაზე. აი, ფირფიცრისგან გაკეთებული სამგზავრო ყუთი. ძველად ასეთ ყუთებს რატომღაც კოლოფებს უწოდებდნენ. იგი ახლაც პირთამდე სავსეა ნოტებით. ბევრი მათგანი მარიამ ალექსანდრეს ასულის ხელითაა გადაწერილი. ვლადიმერ ილიას ძის დედას ბავშვობიდანვე უყვარდა მუსიკა და ეს სიყვარული შვილებსაც ჩაუნერგა.

ვლადიმერ ილიას ძეს კარგად ესმოდა მუსიკა. ცოტას მღეროდა კიდეც. ოჯახურ წრეში, მშობლების თხოვნით, ხანდახან იგი არიებსაც ასრულებდა ოპერებიდან, ასრულებდა რომანსებს, სიმღერებს. მათი ნოტები ახლაც დევს მარია ალექსანდრეს ასულის სანოტო ხოკერში.

საოცარ გრძნობას განიცდი, როცა ძველ ნოტებს შორის თვალს მოჰკრავ გამხმარ მინდვრის ყვავილს. ვინ იცის, იქნებ ვლადიმერ ილიას ძე ამ ყვავილებს დედისათვის კრეფდა. მრავალი წელი გავიდა, მათ კი სურნელება ჯერაც არ დაუკარგავთ.

დედა-შვილს უყვარდათ მინდვრის ყვავილები, მათი თვალისმომჭრელი სილამაზის გამო; მინდვრებისა და მდელოების მშვენება ერჩივნათ ბრწყინვალე და თვალისმომჭრელ ყვავილნარებს.

თუ ლენინის დის — მარიამ ილიას ასულის ოთახში შეხვალთ, კედელზე დედის პორტრეტს ნახავთ. იგი ოჯახის მეგობრის, ძველი რევოლუციონერი ქალის ევსტეფეევას მიერაა დახატული. ლენინის დედა აქ მოხუცია, ჭაღარა, შავი ჩაჩით. რა ძალიან ჰგვანან ერთმანეთს დედა-შვილი!.. შეიძლება დიდხანს იდგე პორტრეტთან და მადლიერების გრძნობით ალივსო მხატვარი ქალისადმი, რომელიც ორივეს იცნობდა.

სანოტო ხოკერი „საექიმო“ ოთახში როიალის გვერდით ინახება. იმ დღეებში, როცა ლენინი დაჭრილი იყო და ლოგინად იწვა, ამ ოთახში ექიმები მორიგეობდნენ. აი რატომ ეწოდება მას „საექიმო“.

მოგვიანებით, ამ „საექიმოში“ პატარა საშინაო კონცერტები იმართებოდა. მაშინ კვლავ გაშლიდნენ ხოლმე ძველ ნოტებს.

აი, კიდევ პლედი. ამანაც შემოინახა ხსოვნა ლენინის დედაზე. იგი ახლაც აფარია ვლადიმერ ილიას ძის ლოგინს მის საშინაო კაბინეტ-საწოლში. დედამ ეს პლედი შვილს მათი უკანასკნელი შეხვედრისას აჩუქა. ეს მოხდა 1910 წელს, შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში. ვლადიმერ ილიას ძე თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან დიდი ხნის უნახავი დედა ნახა. იგი მასთან ერთად სეირნობდა პარკში, სანაპიროს ხეივნებში. მარია ალექსანდრეს ასულს აცნობდა ძველ სტოკჰოლმს.

დედა და შვილი კარგი მეგობრები იყვნენ.

ამ შეხვედრის დროს შვილმა მარია ალექსანდრეს ასული მიიწვია ემიგრანტ სოციალ-დემოკრატების კრებაზე, სადაც ლენინი მოხსენებით გამოდიოდა.

დედა უსმენდა შვილს, რუსეთის მუშათა კლასის უკვე აღიარებულ ბელადს და ამაყობდა მისით.

როგორი რწმენით ლაპარაკობდა ვლადიმერ ილიას ძე მაშინ რუსეთის მუშათა კლასის მოახლოებული გამარჯვების შესახებ!

ლენინის დედა ვერ მოესწრო ამ გამარჯვებას. იგი სულ ერთი წლით ადრე გარდაიცვალა დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე, 1916 წელს, პეტროგრადში, რომელსაც წილად ხვდა ყოფილიყო რევოლუციის ქალაქი, ლენინის ქალაქი. სტოკჰოლმში შეხვედრის შემდეგ შვილს დედა აღარ უნახავს.

როგორი მღელვარებით აღსავსეა ვლადიმერ ილიას ძის მიერ მარია ალექსანდრეს ასულისადმი უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილი:

„ვწუხვარ, რომ თქვენი ბინა არ თბება... არ გაცივდე... ხომ არ შეიძლება რაიმე იღონო, იქნებ რკინის პატარა ღუმელი დაგედგა? აქ ხშირად ასე აკეთებენ...“

დედაც, პლედს რომ ყიდულობდა, შვილზე ზრუნავდა. გაუთავებელი გადასვლა ქალაქიდან ქალაქში, ლონდონის ნისლი. კვამლიანი ბუხრის ცვალებადი სითბო...

სტოკჰოლმშიაც სინესტეა, წვიმიანი ამინდები იცის.

როცა განშორების დღემ მოატანა, ვლადიმერ ილიას ძემ ეტლი დაიქირავა და დედას მისივე ნაჩუქარი პლედი ფეხებზე შემოახვია. მარია ალექსანდრეს ასული ნავსადგურში წაიყვანა. გემი, რომლითაც დედა მიემგზავრებოდა, რუსეთ-ფინეთის სავაჭრო კომპანიას ეკუთვნოდა. შვილს რუსული გემის გემბანზეც კი არ შეუძლია ასვლა: მას დააპატიმრებენ, როგორც მეფის მთავრობის მტერს. ვლადიმერ ილიას ძე ნაპირზე დგას.

რა ნაღვლიანად გუგუნებენ საყვირები ამ ძველ რუსულ გემზე, თითქოს თვით რუსეთი ემშვიდობება მას...

მაგრამ აი, გემმა ღუზა აუშვა.

მეეტლე ისევ ნავსადგურში უცდის მას.

ცივა!

მაგრამ პლედს ჯერ კიდევ შემორჩა დედის სითბო. ვლადიმერ ილიას ძე ამ სითბოს შეიგრძნობს ყველგან: გადევნილობაშიც, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, რუსეთში უკან დაბრუნების დროსაც, რუსეთის უკანასკნელ იატაკქვეშეთშიც კი, მაშინ როცა ხელისუფლების სათავეში კერენსკი იყო.

ლენინმა ამ წლებში ათობით ბინა გამოიცვალა, დედის პლედი კი მუდამ თან დაჰქონდა, სმოლნშიაც და აქაც, კრემლში... დაძველდა ეს პლედი, დაძველდა.

ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის თავზე პეტროგრადელმა ფეიქრებმა ლენინს მათ მიერ მოქსოვილი ახალი პლედი გამოუგზავნეს. აი მუშების მიერ ლენინისადმი მიწერილი წერილი:

„პეტროგრადელ ფეიქრებს სურთ, რომ თქვენ, ჩვენო ძვირფასო, ჩვენი უბრალო საჩუქრით ფიზიკურ სითბოსთან ერთად ის გულითადი მუშური სითბოც იგრძნოთ, რომელშიც გვსურს გამყოფოთ თქვენ და, აგრეთვე ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ... ჩვენ სრულებითაც არ ვმუშაობთ ომამდელ დროზე უფრო ცუდად“.

საჩუქარმა და წერილმა ვლადიმერ ილიას ძეს გული აუჩვილა, მან გულითადი მადლობა გადაუხადა პეტროგრადელ ფეიქრებს. მისწერა, პლედი შესანიშნავიაო.

მას უხაროდა, მუშები სწრაფად სძლევენ ჩამორჩენილობას და ასეთ ჩინებულ სამოსელს ჰქსოვენო.

საჩუქარი კი მაინც გადასცა რომელიღაც ამხანაგს, ვისაც პლედი არ ჰქონდა. თვითონ კვლავ დედის პლედს იხურავდა.

ამ პლედს ჩვენ ახლაც უწინდელ ადგილზე ვხედავთ.

ვიღაცის მარჯვე და ნაზმა ხელებმა, რომლებიც სათუთად უფრთხილდებიან ყველაფერს, რაც ლენინის ხსოვნას ინახავს, დაუბრუნეს პლედს მისი სტოკჰოლმური ახალგაზრდობა. მათ გვირისტ-გვირისტ აღადგინეს ძველი პლედი, ბეწვს ბეწვი შეურჩიეს ისე, როგორც ჩვენ თქვენთან ერთად ამბავს ამბავზე ვაბამთ და ვიგონებთ ძველი პლედის უკვე დავიწყებულ, მაგრამ გულისამაჩვილებელ ისტორიას.

თარგმნეს **დ. შენგელიამ** და **გ. მეტრეველმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ გოდერძიშვილი



# მწითურა

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

სულგანაბულ ბიჭებს სხვენის პატარა კარიდან თავები ამოეყოთ და სახურავის კიდისკენ იყურებოდნენ. თუნუქის ფურცლები ძალიან ცხელი იყო. ზაფხულის მზე სხივებს არ იშურებდა და უფროდაუფრო ახურებდა სახურავს. მწითურა ირაკლის ტერფები ეწოდა, მაგრამ უკანდასაბრუნებელი გზა მოჭრილი იყო: ბიჭებთან შერცხვებოდა! ჩუმი, რბილი ნაბიჯით უახლოვდებოდა მსხვერპლს. სახურავის კიდესთან ჭრელი კატა უდარდელად ნებივრობდა, კოტრიალობდა, ფეხებს მაღლა იშვერდა. ირაკლი ძლივს ითმენდა ტკივილს, ტუჩს იკვნეტდა და თვალები ცრემლით ევსებოდა; მაინც წინ მიიწევდა. ცოტა-ღა დარჩა: რამდენიმე ნაბიჯი. დაიძაბა, წაიჩოქა, მერე დასტაცა კატას ხელი, ჰაერში აიტაცა და ეზოში ისროლა. კატამ დაიჩხავლა.

ბიჭებმა იხუვლეს, სხვენის ჩრდილიდან სახურავზე აცვივდნენ, მაგრამ ფეხისგულები აეწვათ და უკანვე ჩაძვრნენ. ირაკლი ამაყად მიტრიალდა და დინჯი ნაბიჯით დაბრუნდა.

— რა, ცხელია? დედლებო!

— ყოჩაღ, მწითურავ!

— აი, ბიჭი! — გაიოცეს პატარებმა.

— არც ახლა გჯერათ, რომ რასაც ვიტყვი — გავაკეთებ?

— ყოჩაღ, მწითურავ! — გაიმეორა შაქრომ.

ბიჭები კატის სანახავად ჩარბოდნენ. კატა კნაოდა, კარგად ვერ იყო. ბებია თებროს კალთაში ჩაესვა და უკვირდა სახურავიდან რატომ გადმოხტაო. ბიჭები ბურთის სათამაშოდ გაიქცნენ.

— არ მოდიხარ? — ჰკითხა შაქრომ ირაკლის.

— არა.

— რატომ?

— ბურთი ვისია? ახალია?

— თენგოს უყიდა მამამისმა.

— არა და მწითურას გამოუგზავნიდნენ, აი! — დაიტრაბახა თენგომ.

— ისეთი მამა არც უნდა ირაკლის! — არ დააცადა წინადადების დაბოლოება შაქრომ და ტრაბახა თენგოს მუჯლუგუნი უთავაზა. თენგო აკრუსუნდა.

— თქვენი საქმე არ არის! — თქვა მწითურამ და ისე გაწითლდა, ჭორფლი ძლივსღა ეტყობოდა

— არ წამოხვალ? — შაქრომ ფეხი მოიქნია.

ირაკლი ბებია თებროსკენ წავიდა.

— კატა როგორ არის? — ჰკითხა ბებიას.

— კატას რა უჭირს, შვილო, საიდანაც არ უნდა გადმოხტეს — მაინც ფეხებზე დგება.

— მეც მაგის იმედი მქონდა, — თქვა დინჯად ირაკლიმ და შინისაკენ წავიდა.

— მაშ, არ მოდიხარ? — შორიდან დაუყვირა შაქრომ.

ირაკლი შინ შევიდა და კარი მოიხურა.

— ენას ვერ გააჩერებ? — შაქრო ახლა თენგოს მიუბრუნდა.

— წამომცდა, რა მოხდა, რა! — ბუზღუნებდა თენგო.

შაქრო ეზოში პირველი მოკრივე იყო (ირაკლიც ვერ ბედავდა მასთან ჩხუბს), მაგრამ მწითურა ყოველთვის ასეთ რაღაცეებს აკეთებდა და ბიჭებიც იმის მხარეზე იყვნენ. შაქროსიც ეშინოდათ, მაგრამ მაინც ირაკლის მხარეზე იყვნენ. მთიწურამ უცნაური ოინბაზობა იცოდა. თუმცა ბებია თებროსათვის რომ გეკითხათ, იმთავითვე უცნაური დაიბადა:

ბიჭმა სამ წლამდე ვერაფრით ვერ ამოიდგა ენა, ერთი ბგერაც კი არ დაცდენია. სამაგიეროდ, ყველაფერი ესმოდა და მხედველობითი მეხსიერებაც განუვითარდა. ლიმონათის ბოთლს ყოველნაირი ბოთლისაგან არჩევდა და იჭაჭებოდა, მანამ არ დაალევინებდნენ, გაგიჟებამდე უყვარდა ლიმონათი. თუ ლიმონათი ჰქონდა, ყველაფერი ავიწყდებოდა: სათამაშოებიც, მანქანებიც. ეუბნებოდნენ: ბევრს ნუ სვამ, გაწყენს, არ ვარგა, მოიწამლებიო. არავის უჯერებდა. ქუჩაში გაზიან ტკბილ წყალს თვალს თუ მოჰკრავდა, სჯობდა თვითონ გეყიდათ. რუსთაველზე, ლაღიძის წყლებთან ხომ არ შეიძლებოდა მისი გატარება. მაღაზიიდან ვეღარ გამოიყვანდი. ყველას უკვირდა: ამდენი სითხე სად ეტევაო!

ერთ დღეს ლიმონათით გული იჯერა და სათამაშოებს მიუბრუნდა. იატაკზე დაჯდა, ცალი ფეხი ქვეშ ამოიდო და მანქანების მტვრევა დაიწყო. ბებია თებრო გაჯავრდა. საკერავ მანქანას თავი მიანება და დაიყვირა:

— მოდი აქა, ბიჭო!

ირაკლი ადგა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა: ფეხი დაბუჟებოდა. უცნაურად დაიმანჭა და თვალები ცრემლით აევსო.

— ვერ მოდიხარ? — დაიგრგვინა თებრომ.

ბავშვმა თავი გაიქნია.

— რატომ? — არ ეშვებოდა ბებია.

— დიდედა, ფეხი მტკივა, არრრ შემიძლია და რრაა ვქნა... — სხაპასხუპით დააყარა ირაკლიმ.

ალბათ ირაკლი ლაპარაკს აღარ გაათავებდა, ბებიას რომ არ ეკივლა. გაოცებულმა მოხუცმა ისე ხმამაღლა დაიყვირა, რომ კარგახანს ყელი ტკიოდა. მეზობლები იცინოდნენ: ირაკლიმ ენა აიდგა და ახლა ბებია თებროს მაგივრადაც ლაპარაკობსო.

რამდენიმე დღის შემდეგ მეეზოვის ყვირილმა მთელი ეზო გამოაღვიძა.

— რა ხალხი ცხოვრობს ამ ეზოში, კაცო! — ყვიროდა მეეზოვე.

— რა მოგივიდა, ქა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წყალს რატომ უშვებთ!?

— რა წყალი, რას ამბობს? — მოგროვდნენ ქალები.

— წუხელ შემოვედი, ცოცხი უნდა დამებანა, ვხედავ, წყალი გაღებულია, რატო უშვებთ გაღებულს, რატო?

მეზობლებმა იქაქანეს. ყველაზე გვიან შაქროს დედა მისულა წყალთან ისიც იფიცებოდა, კარგა მაგრა დავკეტე ონკანიო.

ბებია თებრომ ითავა ჩასაფრებოდა ონავარს.

საღამოს ბებიამ შვილიშვილს ხელ-პირი და ფეხები დაბანა და გაქათქათებულ საწოლში ჩააწვინა. მერე თავშალი მოისხა და ეზოში, ხის ჩრდილში პატარა სკამზე ჩამოჯდა. უნდა გენახათ დედაბრის გაფართოებული თვალები, როცა მისი ბინის კარი გაიღო და თეთრ ღამისპერანგში გამოწყობილი ირაკლი გამოჩნდა. ბავშვმა მიიხედ-მოიხედა, მერე ონკანს მიეპარა და ბოლომდე მოატრიალა.

— რას შვრები, ბიჭო! — ვეღარ მოითმინა თებრომ.

ირაკლი სირბილით დაბრუნდა უკან.

— რას შვრები, ბიჭო! — ახლა შინ შემოუვარდა ბებია, — რატომ მიმწარებ ცხოვრებას, რატომ!

— აბა რა, აბა რა! — აბურტყუნდა ირაკლი.

— რა გინდა, თქვი!

— მინდა, რომ წყალი გათავდეს, იმიტომ ვუშვებ!

— რად გათავდეს, ბიჭო. გადამრევს ეს ბავშვი!

— აბა წყლის სმას ლიმონათი არა სჯობია?! — აყვირდა ბიჭი.

ბებიას დღესაც ვერ უპატიებია თავისთავისათვის ის სილაქები, საჯდომი რომ აუწითლა ონავარს (ეცოდებოდა უდედო ბავშვი...), მაგრამ ირაკლის ცრემლი არ უყვარდა. არც არასოდეს უტირია.

მეორე დღეს მაინც იჩხუბა მეეზოვემ: სიჩქარეში თუ მოულოდნელობისაგან, ბებია თებროს ონკანის დაკეტვა დავიწყებოდა.

რას არ მოგიყვებოდათ, ყური რომ გეგდოთ ბებია თებროსათვის. მერე ირაკლიმ სკოლაში დაიწყო სიარული და სულ გადაირია; მაინც უყვარდათ მასწავლებლებს: გაკვეთილებს ადვილად ითვისებდა, სუფთად წერდა და ფრიადოსანიც იყო. მაგრამ ვერა და ვერ ისწავლა ცხრიანის წერა. მასწავლებელმაც ვერაფერი მოუხერხა. ისევ თვითონ მონახა გამოსავალი: რვეულს მოაბრუნებდა და ექვსიანს წერდა. „პირველ კლასში რომ ამას ახერხებს, მერე რას იზამს, გენაცვალეთ!“ — ეუბნებოდა თებრო მეზობლებს და სიცილის ცრემლებს იწმენდდა, ბიჭის მახვილგონიერებით გახარებული.

— გადაგიყოლებს ეგ ბავშვი, თებროლე, — ხუმრობით ეუბნებოდნენ მეზობლები.

— უნდა გადამიყოლოს, მაშა! ზეცას ხომ არ გამოვეკერები?! ჩემს მეტი კინა ჰყავს მაგ უბედურსა, ვინა?

— ღმერთმა კარგად გამყოფოს! — ლოცავდნენ ქალები. სულს უმწარებდა, მაგრამ მაინც უყვარდათ მეზობლებს ირაკლი. ჭკვიანი ბავშვი ყველას უყვარს!

ერთ საღამოს თებრო სკოლაში წავიდა, მშობელთა კრებაზე (მოხუცს კრებაზე სიარული უყვარდა. მართალია, მასწავლებელი ირაკლის ყოფაქცევაზე ცოტას წუწუნებდა, მაგრამ ნიშნების ფურცელში ბიჭს მუდამ ხუთიანები ეწერა. ბებია ამაყად გადახედავდა ხოლმე დანარჩენ მშობლებს და ბებრული ნაბიჯით შინისაკენ გასწევდა, გზაზე რამდენიმე ბოთლ ლიმონათს იყიდდა და ბიჭიც გახარებული იყო).

ერთ საღამოს თებრო სკოლაში წავიდა, მშობელთა კრებაზე. ირაკლი შინ დარჩა. ვიღაცამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— მობრძანდით.

ოთახში ვიღაც კაცი შემოვიდა.

— ბებო შინ არ გახლავთ, — შეაგება ირაკლიმ.

კაცს ამღვრეული თვალები ჰქონდა, ხმას არ იღებდა და ბიჭს შესცქეროდა. ირაკლი დაიბნა. გულში რაღაცამ გაჰკრა, მაგრამ ეს უეცარი აზრი თავიდან მოიშორა და უცნობს თვალი გაუსწორა.

— ბებო შინ არ არის, — გაიმეორა ირაკლიმ.

— არა უშავს, დავიცდი. — კაცი ტახტისკენ წავიდა, მაგრამ ვიდრე დაჯდებოდა იკითხა: — ხომ შეიძლება მოვიცადო?

ირაკლი ხმას არ იღებდა.

კაცმა პაპიროსს მოუკიდა და ამოსუნთქულ ბოლს გრძელი ოხვრა ამოაყოლა.

— მოდი ჩემთან, შვილიკო, — თქვა მან მერე.

ირაკლი არ ინძრეოდა.

— მოდი აქ! — ხმას აუმაღლა მამამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი გაწითლდა.

მამა წამოდგა, ბიჭს მიუახლოვდა და დაიხარა. ბიჭს ღვინის სუნი ეცა. „ეგ უსვინდისო, ეგ უნამუსო, ეგა!!“ — გაახსენდა ბებიას ნათქვამი. ბიჭი კედელს აეკრა.

— გეუბნებიან თუ არა, რომ მამა გყავს!? — ყვიროდა კაცი.

„ამისთანა ანგელოზივით ბავშვს მიატოვებენ, ვიღაც ოხრის გულისთვისა!?“

— გეუბნებიან, რომ მამაშენი ვარ; რომ მე შენთან ხშირად არ დავდივარ, მაგრამ მაინც მამა ვარ შენი!?

„რად უნდა ვუჩივლო, გენაცვალეთ; კაცს შვილის შენახვა არ უნდოდეს — პირველად ვხედავ!“

— გეუბნებიან, რომ მაშინ მოვდივარ, როცა გძინავს! გეუბნებიან?

„ვუჩივლო და იტყვის: თებროსაც მე ვარჩენო! პენსია გვყოფნის, კაპიკი არ მინდა მაგისი, კაპიკი; ეგ უსინდისო, ეგ ნამუსგარეცხილი, ეგა!!“

— ხმა ამოიღე, ბიჭო, ხმა! — ნიკაპი აუკანკალდა მამას.

ბიჭი კედელს მიკვროდა. ცივი კედელი ზურგს უწვავდა და მთელ სხეულში ჭიანჭველებივით სწრაფად მოძრაობდნენ რაღაცეები.

კაცი მობრუნდა, მაგიდასთან მივიდა, რაღაც დასდო და კარისაკენ გაემართა; დირეზე შედგა, მოიხედა და კედელზე აკრული ბიჭი მონახა თვალებით. უცებ შემობრუნდა, შვილი მკერდში ჩაიკრა და თავზე რამდენჯერმე აკოცა. მერე ბავშვს ხელი გაუშვა, სწრაფი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა და კარი ისე მაგრად გაიჯახუნა, რომ ფანჯრებმა ზრიალი დაიწყეს.

ირაკლი იატაკზე იჯდა. გაშტერებული თვალებით კარს შესცქეროდა და არაფერზე არ ფიქრობდა. მერე უცებ, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, წამოხტა და ეზოში გაიხედა. იქ არავინ იყო. შინ შემობრუნდა, მაგიდას დახედა. მაგიდაზე ფული იყო. „ბურთს ვიყიდი, — გაიფიქრა ბიჭმა, — მაგრამ ალბათ ბებია ფულს არ აიღებს. ბებო ძალიან გაჯავრდება. მაგრამ რა ჩემი ბრალია!“

აღარ უნდოდა ფიქრი, არც ოთახში ჯდომა. ქუჩაში გამოვიდა. ქუჩის ბოლოს, სადაც დიდი და ხმაურიანი პროსპექტი იწყებოდა, ვიღაც ცუდად ჩაცმული კაცი იდგა და ფულს თხოულობდა. ირაკლის გაუკვირდა. იშვიათად, მაგრამ ირაკლის მაინც ენახა მათხოვარი. ახლა კი იგი პირველად ხედავდა კაცს, რომელსაც ორივე ფეხი და ორივე ხელი ჰქონდა და მათხოვრობდა. ირაკლის კაცი შეეცოდა. „ნეტავი ვისთვის უნდა ფული, ან ასეთი რა ავადმყოფობა უნდა ჰქონდეს!?“ — ფიქრობდა ბიჭი და შინისაკენ მირბოდა. უკვე გადაწყვიტა, რაც უნდა ჩაედინა. ოთახში შევარდა, ფულს ხელი სტაცა და კაცს მიურბენინა. კაცმა მიიხედ-მოიხედა და ისე, რომ ბიჭისათვის მადლობაც კი არ უთქვამს, მოშორდა იქაურობას. ბავშვმა მის თვალებში ისეთი სიხარული დაინახა, რომ სრულიად გადაავიწყდა ცოტახნის წინათ მომხდარი შემთხვევა. ირაკლიმ შინ დაბრუნება გადაწყვიტა: ბებო მოვიდოდაო. მაგრამ ძალიან უნდოდა ენახა, სად წავიდა კაცი, ვის წაუღო ფული, რა გააკეთა! კაცი არ ჩანდა. ირაკლიმ პროსპექტი გადაჭრა, ძლივს გადაუსწრო სწრაფად მიმავალ ტროლეიბუსს და დაღმართზე დაეშვა. ვერა ნახა „თავისი კაცი“. სირბილითვე ამობრუნდა უკან და ახლა პროსპექტს გაჰყვა. ბავშვი გაფაციცებით შესცქეროდა ყოველ გამვლელს, ყოველ მაღაზიაში იხედებოდა. პაპიროსის ბოლითა და ცხელი ხინკლის ოხშივარით სავსე სასაუზმესთან შეჩერდა. რომელიღაცა მიამსგავსა „თავის კაცს“. კედელს მიეყრდნო, სული მოითქვა. კაცი ხარბად ჭამდა ცხელ ხინკალს და არაყს აყოლებდა. ხინკლის წვენი ტანსაცმელზე დაეცა. კაცმა ხელით გაიწმინდა. ირაკლის გაეცინა. მერე კაცმა კიდევ დალია არაყი. ბიჭს თვალები გაუფართოვდა. „ის არ უნდა იყოს!“ — გაიფიქრა, მაგრამ მაინც დიდხანს ელოდა. ფეხზე დგომით მუხლები ატკივდა. კაცი, როგორც იქნა, კარისკენ წამოვიდა. ფეხი ერეოდა, ტორტმანებდა და თავის შეკავებას ცდილობდა. ირაკლი დააცქერდა... თვალზე მომდგარმა ცრემლებმა, თუ სასაუზმიდან გამოვარდნილმა ოხშივარმა, ხელი შეუშალა კარგად გაერჩია „თავისი კაცი“ იყო თუ არა...

ირაკლი ნელ-ნელა ბრუნდებოდა შინ, შორ გზას ირჩევდა, ფეხს ითრევდა. ბიჭი იმ კაცზე ფიქრობდა, რომელსაც ძველი ზღაპრის მსგავსად, შემთხვევით, ან ლამაზი მზეთუნახავის საძებნელად (რა თქმა უნდა, ლამაზი მზეთუნახავის საძებნელად) ამ მხარეში ჩამოსულმა უცხო მეფისწულმა ოქრო აჩუქა. კაცმა ულამაზეს ქვეყანაში დიდი სასახლე აიშენა. სასახლის კიბეები პირდაპირ ტბაში ეშვებოდა, ტბაში ოქროს თევზები ცხოვრობდნენ. მერე კაცმა ოქროს ეტლში თეთრი რაშები შეკაზმა და თავისი ძველი, დანგრეული ქოხიდან ბებია, ცოლი და ერთადერთი შვილი გამოიყვანა. და ცხოვრობდნენ ერთად, ტკბილად და ბედნიერად, დიდხანს, ძალიან დიდხანს.



# კარდანახი

კარდანახი მდიდარი და კეთილმოწყობილი სოფელია გურჯაანის რაიონში. სოფელს ალამაზებს ორსართულიანი სახლები, თვალუწვდენელი ვენახები, ხეხილის ბაღები, სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო სახლი, საბავშვო ბაგა და ბაღი, კულტურის სახლი.

ორი ათას ხუთასი კომლი ცხოვრობს ამ ბაღნარებით შემოგარულ სოფელში. ოციათასამდე მუშახელი კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს. შრომა უყვართ კარდანახელებს. ჩვენმა რესპუბლიკამ ლენინის მეორე ორდენი რომ მიიღო, ამით უთუოდ კარდანახელების შრომაც დააფასეს.

სოფელს ზევიდან გადმოჰყურებს სალირალას მთა. ახლა მას უკვდავების მთას უწოდებენ. სოფლის თავკაცებისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობის თაოსნობით აქ გაშენდა ბაღი.

...ცივია მიწა. დრო გადარეცხავს წლებს. გული მოიშუშებ იარებს, დაგავიწყებს თითქოს მახლობელ ადამიანს. მაგრამ დედა ვერასდროს დაივიწყებს დაკარგულ შვილს. ასევე სოფელმა ვერ დაივიწყა ომში დაღუპული 403 ვაჟკაცი. ოცი წლის შემდეგ, გამარჯვების დღეს — 9 მაისს მათი სახელისა და გმირობის უკვდავსაყოფად კარდანახელებმა შესანიშნავი ბაღი გააშენეს. ბაღში დარგეს 403 კიპარისი და სხვა ძვირფასი ჯიშის ხეები. თითოეულ ხეზე ლითონის ფირფიტაა მიმაგრებული, რომელზეც დაღუპული ჯარისკაცის გვარი და სახელია ამოკვეთილი.

გაივლის წლები, აშრიალდება მარადმწვანე ხეები, მოვა ახალი შთამომავლობა, სოფლის ახალი გმირები, მოვლენ და მოიგონებენ მათ, რომელთა გმირობა ამბად დარჩენილა კარდანახში.








— შვილო, ლენინის ორდენით ჩვენი კარდანახიც დააჯილდოვეს?

— დიახ, ბებია, ლენინის ორდენით საქართველო დააჯილდოვეს და ჩვენი სოფელიც ხომ საქართველოშია.

— საოცარი დროა, შვილო...

დიდი ხანი არაა, რაც ორი კოლმეურნეობისა და ერთი საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე კარდანახში შეიქმნა მძლავრი საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობაა. მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ კარდანახელები მევენახეობასა და მეხილეობაშიც. გასული წელი სარეკორდო იყო კარდანახელთათვის. მოსავლიანი ზვრების 296 ჰექტარზე 2.500 ტონა ყურძენი მოიწიეს. გეგმით გათვალისწინებული 15 ტონა ხილის ნაცვლად სახელმწიფოს 80 ტონა ხილი ჩააბარეს.

მეურნეობის დირექტორი თემურ სეხნიაშვილი ახალგაზრდა, უნარიანი ხელმძღვანელია. დღის განმავლობაში მას ყველგან შეხვდებით, თითქმის ყველა უბანზე.

მძლავრ მეურნეობას თავიანი გაძღოლა სჭირდება. დოვლათი ხალხის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს. და აი, მეურნეობამ ბევრი კარგი გაუკეთა სოფელს: აშენდა წყლის მოსამარაგებელი აუზი, მუშათა სასადილო, საბავშვო ბაღი, პურის საცხობი, წისქვილები, მოიხრეშა 15 კილომეტრი სოფლის შიდა გზები.

მომავლისათვის უფრო ფართო პერსპექტივები აქვთ დასახული კარდანახელ მევენახეებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაშინ ყურძენი იკრიფებოდა სოფელში. ოჯახები ვენახებში ხვდებოდნენ განთიადს. დედ-მამას ისიც მიჰყვებოდა ზვრებში, ისიც პატარა „მევენახე“იყო.



იზრდება კარდანახი. ქორწილები გახშირდა. იბადებიან ბუთხუზა ბიჭები და გოგონები. ქეთევან საყვარელიძეა სოფლის პირველი მახარობელი. აი, ახლაც საავადმყოფოდან ურეკავენ გინეკოლოგს. დღეს დილით ტყუპი ბიჭი დაიბადა და კიდევ მშობიარე მოუყვანიათ. ამ კვირაში შვიდი ბიჭი ჰყავთ სამშობიაროში და არც ერთი გოგონა; ახლაც თუ ბიჭი დაიბადა, ბიჭების კვირეული ექნებათ კარდანახელებს.

სოფლის შრომის ზეიმი რთველია. გასულ წელს გასაოცარი მოსავალი მოვიდა. სავსე გოდრების გამოზიდვას ვეღარ აუდიოდნენ ვენახიდან.



გაკვეთილზე მიეჩქარება მერი ხოსიტაშვილს, მაგრამ სახლისკენ მაინც იხედება. თითქოს ხმაური შემოესმა და ერთი წუთით შეყოვნდა. ბიჭები დატოვა მარტოდ და დედის გული... მოგეხსენებათ, ფრთხილია.

მერი კარდანახის საშუალო სკოლაში V-VI კლასებს რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მოსწავლეებს უყვართ გულისხმიერი ახალგაზრდა პედაგოგი. ზოგჯერ მეურნეობის ზვრებში ერთად მიდიან მისახმარებლად.





ეს გოგონა კარდანახის საშუალო სკოლის XI კლასის ფრიადოსანი მოსწავლე ნელი ლალიაშვილია. მე-8 კლასში იყო ნელი, სკოლა რომ ასახელა. ნორჩ ფიზიკოსთა მე-16 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მან ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სიგელი მიიღო. პირველი კლასიდან წარჩინებულად სწავლობს ნელი. საშუალო სკოლას რომ დაამთავრებს, სწავლას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელებს, ქიმიის ფაკულტეტზე და მერე ისევ მშობლიურ კარდანახს დაუბრუნდება.

ტექსტი ი. ჩოფიკაშვილისა,
ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ႣႤႣႨႱ ႫႭႢႭႬႤႡႠ

კასინე მენაბდე

... რა ბედნიერია მშობელი, როცა პატარას ზრდის, შეჰხარის, ოცნებობს მის მომავალზე. მან არ იცის დაღლა, რადგან ერთი სურვილით არის ფრთაშესხმული — გაზარდოს სასახელო შვილი...

ეს არ არის ადვილი საქმე; ამას ძალიან დიდი შრომა სჭირდება, ბევრი შრომა... მაგრამ ეს დრო ყველაზე ძვირფასია დედისათვის...

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა საქმით დაღლილ-დაქანცულს ჩემი ბიჭის ფეხის ხმა შემომესმებოდა. შემოირბენდა ოთახში, წიგნებს თავის მაგიდაზე დააწყობდა და ტკბილ, თბილ ღიმილს შემომაგებებდა. მან იცოდა, რომ მე მის თვალებში ამოვიკითხავდი, იცოდა დღეს გაკვეთილები თუ არა, ან მასწავლებელი ხომ არ გააჯავრა. ჩემი ცელქი ბიჭი შემომეხვეოდა და მეტყოდა: დედიკო, დღეს გაკვეთილებიც კარგად ვიცოდი და მასწავლებლებიც კმაყოფილი იყვნენ, ახლა კი მშია და მაჭამე რამეო. მე, რაც კარგი მქონდა, მისთვის ვინახავდი. ახლა ფაცი-ფუცით გამოვუწყობდი, დავჯდებოდი და ვუყურებდი, რა მადიანად შეექცეოდა...

ცელქი იყო. ეშმაკობა უყვარდა. რომ წამოიზარდა, ბევრ დროს ანდომებდა გოგო-ბიჭებში თამაშს. მეშინოდა, არ ეცუღლუტნა და სკოლაში ხშირად დავდიოდი მისი ამბის გასაგებად. მეჩქარებოდა, სწავლა დაემთავრებინა, რადგან გულს მიკლავდა ჩემი უსწავლელობა. ვეტყოდი ხოლმე: „შვილო, გახსოვდეს, არაფრით არ დაიჩაგრება კაცი ისე, როგორც უსწავლელობით-მეთქი". მომეხვეოდა, მეტყოდა: „ვიცი, დედიკო. შენ გული იმიტომ გწყდება, რომ არ გისწავლია. მართალა, შენ რომ სწავლა გქონოდა, ვინ იცის, იქნებ მწერალიც ყოფილიყავი და ყველა წაიკითხავდა შენს ლექსებსო".

მე მართლა ვწერდი ლექსებს, მხოლოდ ჩუმად. მარტო ჩემს შავთვალა ბიჭს ვუკითხავდი. აბა, სხვა ვისთვის უნდა წამეკითხა, თუ ყველა ლექსს მას ვუძღვნიდი. ჩემებურად ჭკუას ვასწავლიდი, ვარიგებდი.

... ერთ საღამოს შეაგვიანდა. მოვიდა მხიარული, ივახშმა, ბევრი მესაუბრა და დასაძინებლად დაწვა. მე ჩუმად ვუთვალთვალებდი. მან გახედა მაგიდას და კონვერტი დაინახა. სასწრაფოდ დაავლო ხელი, გახსნა და წაიკითხა ჩემი მინაწერი ლექსი. კითხვა რომ დაამთავრა, შევამჩნიე, თვალებში ცრემლი უდგა. წამოვარდა ლოგინიდან და გადამეხვია. მითხრა: „ძალიან გაგაწვალე, დედა, არა?"

ოჰ, რა ძნელია ამ სიტყვების მოგონება ახლა. ვფიქრობ, რა ბედნიერი ვყოფილვარ თურმე მაშინ, როცა იგი ჩემს წინ იდგა, მეფერებოდა და დანაშაულის გამოსწორებას მპირდებოდა.

ან რა დანაშაული ჰქონდა ჩემს ბიჭს? განა არ სწავლობდა? განა ყველაზე კეთილი არ იყო? განა მთელს ეზოში იყო ვინმე მასავით მხიარული და გულღია?

ვფიქრობ, რატომ ვემდუროდი, თუ მას მეტად აღარ მოუწევდა თავის საყვარელ ამხანაგებში დროსტარება, თუ ასე ცოტა სიხარული ერგებოდა ცხოვრებაში და ასე მოკლე დროში დაამთავრებდა ყველაფერს...

... ერთ დღეს დიდი სიხარული შემოვიდა ჩემს ოჯახში —ჩემმა ბიჭმა კლიმენტიმ (ეს სახელი მისთვის არასოდეს დამიძახნია — „შავთვალას" ვეძახდი) საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი მომიტანა. მომაწოდა სახეგაბრწყინებულმა. მხიარულმა... ბევრი მკოცნე, თვითონაც მეფერა და, თითქოს სხვათაშორის, მითხრა: „რა გიყო, ჩემო დედა, ცოტა დამაგვიანდება ინსტიტუტში შესვლა. ხომ იცი, ჯარში წასვლა მიწევს. მართალია, გაწვევა არ მიმიღია, მაგრამ მე უნდა გამოვცხადდე, რომ დავიგვიანო, ხომ საყვედურს მივიღებ. ხომ მართალია, ჩემო დედა"...

იმ ღამეს არ დამიძინია. დილით სამხედრო კომისარიატში წავიდა. რომ დაბრუნდა, მითხრა, თხუთმეტ დღეში მიდის ჩემი ნაწილიო.

თანდათან ახლოვდებოდა მისი წასვლის დრო. ადრეც არ ცილდებოდნენ ამხანაგები და მეგობრები, ახლა კი სულ ერთად იყვნენ... ერთხელ მთხოვა, სუფრა გამიწყვე, ამხანაგები მინდა დავპატიჟოო. ჩვენს ოჯახში თავი მოიყარეს მისმა ამხანაგებმა, მეზობლებმა, ნათესავებმა. ოჯახის წევრებიც ყველანი ვიყავით, მამამისის გარდა. ის ამ დროს მახარაძეში იყო თავის მოხუც დედასთან, შვილის გამგზავრებას ვერ დაესწრო, და მერე სამარეში ჩაჰყვა დარდად, წასვლის წინ რომ ვერ ნახა შვილი...

მაგრამ მაშინ ამის ფიქრი ვის ჰქონდა! ვაჟები მიდიოდნენ არმიაში და ორი წლის შემდეგ უბრუნდებოდნენ თავიანთ ოჯახებს სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი და დავაჟკაცებულნი. ქვეყნად მშვიდობა იყო... მაგრამ რატომ შემომკვნესოდა, რატომ მიტიროდა გული? არ შემიძლია იმის გადმოცემა, რას ვგრძნობდი და განვიცდიდი, როცა უკანასკნელად გავუშალე ლოგინი ჩემს შვილს, უკანასკნელად დავყურებდი მის მძინარ, ლამაზ სახეს, მის გრძელ წამწამებს, მომღიმარ ტუჩებს, შავ, აქოჩრილ თმას, ბალიშზე გადაწყობილ გრძელ მკლავებს...

მეორე დღეს 12 საათზე სამხედრო კომისარიატში ვიყავით. ყველა გაწვეულს მეგობრები და ნათესავები აცილებდნენ. უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ერთმანეთში არეულიყო სიცილი, სიმღერა, ტირილი. ჩემი შავთვალა ეხვეოდა ყველას, განსაკუთრებით მე და თავის დებს — შურას და მადლენას. გვეხვეწებოდა: „თქვენ იცით, ცრემლი არ მაჩვენოთ თვალზეო".

წავიდა ჩემი ბიჭი და დაიწყო ჩემთვის უსიხარულო, ერთფეროვანი დღეები. თვალი სულ გზისკენ მეჭირა და არც ჩემი ბიჭი მიგვიანებდა წერილებს — ყოველ სამ დღეში მწერდა: კარგად ვარ, ჩემზე არ იდარდოო. ათი დღის შემდეგ შემატყობინა, უკვე დავბინავდით, აქ ქართველი მხოლოდ ორნი ვართ, უფრო მეტი კი რუსები არიან, კარგი საამხანაგონი ჩანან. თახაც მიხარია, რუსულსაც კარგად ვისწავლი და რომ დავბრუნდები, უმაღლესში გამოცდების ჩაბარება აღარ გამიჭირდებაო...

... სულ მალე ომი დაიწყო ფინეთთან. პირველად რომ ეს ამბავი შევიტყვე, თავზარი დამეცა. მე ჯერ პირველი მსოფლიო ომის ჭრილობა არ მომშუშებოდა, სადაც ობლობაში საცოდავად გამოზრდილი ჩემი პატარა ძმა, ჩვიდმეტი წლის ბიჭი დამეღუპა. გონება მეკარგებოდა მარტო იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა ეს ხვედრი ჩემს ბიჭსაც რგებოდა...

მძიმე, მძიმე თვეები. დღეები თითქოს ბურანში გადიოდა. ერთადერთი იმედი ჩემთვის ფოსტალიონის დანახვა იყო. თუ მომიტანდა შვილის წერილს, დროებით დავმშვიდდებოდი. მაგრამ შეაგვიანდებოდა და გული მელეოდა, დავდიოდი თითქოს შავ ბურუსში გახვეული.

... დადგა ის ბედნიერი დღეც, ომის დამთავრება რომ გამოაცხადეს. რამდენიმე დღეში სასიხარულო წერილიც მივიღე ფინეთიდან — კურორტ სტარაია რუსაში გადმოგვიყვანესო. ძალიან მომენატრეთ ყველა, ხშირად მომწერეთ წერილები,

---

*) იბეჭდება შემოკლებით

ეს ერთი წელიც მალე გავა და თქვენთან ვიქნებით.

იმ დღიდან ერთი ფიქრი აღარ მაძლევდა მოსვენებას — შვილი მენახა. ქმარსა და შვილებს რომ გავუზიარე ჩემი საწადელი, შეიცხადეს: ამ მკაცრ ზამთარში მგზავრობას როგორ აიტანო, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა მაინც ვეღარ გამიწიეს...

მართლაც საშინელი მკაცრი ზამთარი იდგა რუსეთში. მოსკოვის შემდეგ მგზავრობა კიდევ უფრო გაჭირდა. მატარებელში ტევა არ იყო და მთელი გზა გასასვლელში, ჩემოდანზე ჩამომჯდარმა გავიარე. მეჩხუბებოდნენ რუსულად, მე კი ვპასუხობდი ქართულად. ზოგი იცინოდა, ზოგს კი ვეცოდებოდი. მგზავრებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც დაინტერესდნენ ჩემი მდგომარეობით და მე, ჩემი დამტვრეული რუსულით, ძლივს ავუხსენი სად და რისთვის მივდიოდი. იმათ ამიხსნეს, სად უნდა ჩამოვსულიყავი, რომ სტარაია რუსაში მოვხვედრილიყავი და დახმარება აღმითქვეს. გახარებული, რომ მფარველები აღმომიჩნდნენ, ვიჯექი ვაგონში, რომლის ფანჯრები ისე იყო შეჭირხლული, რომ შიგ სინათლეც ვერ აღწევდა და თუ წინათ სიცივისაგან მთლად ვცახცახებდი, ახლა უკვე სიცივეს ვეღარ ვგრძნობდი.

როგორც იქნა, ჩავედით სტარაია რუსაში. სადგურზე მყოფნი ქურქებში ისე იყვნენ გახვეულები, რომ ცხვირებიღა უჩანდათ. მე კი ისე მეცვა, როგორც თბილისში. ვაივაგლახით ვიშოვნე ეტლი. როგორც იქნა, ჩემი ბიჭის ნაწილს მივაგენი. შენობის წინ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა შემომხვდა. როცა ვკითხე, ესა და ეს კაცი თუ არის თქვენს ნაწილში-თქო, გაიცინა და მითხრა: როგორ არ არისო, ეგერ ზის და წვერს იპარსავსო.

შენობიდან ჩამორბოდნენ ბიჭები, ბოლოს შავთვალაც დავინახე. და თითქმის გონება მეკარგებოდა, როცა ჩემმა ბიჭმა აკანკალებული ხელებით მაგრად ჩამიკრა გულში. მკოცნიდა ჩემი ერთი წლის უნახავი, ომგადახდილი შვილი და მეჩურჩულებოდა: რამ წამოგიყვანა, დედა, ამ სიშორეზე, არ შეგეშინდაო? სალაპარაკო ხმა არ მქონდა, მაგრამ გულში ვამბობდი: დედამ შიში არ იცის, თუ სადმე შვილი ეგულება-მეთქი. ახლა კიდეც რომ მოვკვდე, არ მენანება, რადგან შენი ნახვა მეღირსა-მეთქი... დიდხანს ვიყავით ასე ერთმანეთს ჩაკრულები და... ეს მოგონება-ღა მატკბობს მერე მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე...

რომ გაიგეს, კლიმენტი მენაბდეს დედა ჩამოუვიდაო, მთელი ნაწილის ქართველებმა ჩვენს ოთახში მოიყარეს თავი. ოთახი ნაწილის მეთაურმა დამითმო და ხუთი დღე გაანთავისუფლეს ჩემი ბიჭი. იმ დღეებში, თავისუფალ დროს, მთელი მისი ამხანაგები ჩვენს ოთახში იყრიდნენ თავს: იცინოდნენ, მღეროდნენ, ანეგდოტებს ყვებოდნენ. ყველა ერის ახალგაზრდები იყო ერთად თავმოყრილი და თავს უბედნიერეს ქალად ვგრძნობდი, როცა ვხედავდი, რომ ჩემი ბიჭი ყველას უყვარდა.

ეს ხუთი დღე თითქოს გაფრინდა. წამოსვლის წინა დღეს ნაწილში მყოფმა ქართველებმა გადაწყვიტეს, ერთად გადაგვეღო სურათი. საბოლოოდ თურმე ეს სურათი მრჩებოდა ჩემი შვილის სამაგიეროდ...

დადგა წამოსვლის დღეც. შავთვალასათან ერთად მისი ამხანაგებიც მაცილებენ. ჩემი ბიჭი აღარ იცინის, აღარ მასხრობს, ამხანაგები ცდილობენ გაამხიარულონ, მაგრამ ამაოდ. ვზივართ ვაგონში და გული მიკვდება, ვფიქრობ, რად გავუახლე დარდი, მაინც შეჩვეული იყო დაშორებას, ახლა ხომ თავიდან დაეწყება ყველაფერი...

სადგურის ზარმა ჩამოჰკრა. ჩემი შვილი მომეხვია და მითხრა: დედიკო, ასე მგონია, ახლა მახარაძეში ვარ, შენ კი თბილისში მიდიხარ. ნუ გეშინია, ეს ერთი წელიც მალე გაივლის და დაგიბრუნდები...

ამ დროს მატარებელიც დაიძრა. შავთვალა გასასვლელისკენ გაიქცა. ბევრი ვეცადე დამენახა ჩასული, აქეთ ვეცი ფანჯარას, იქით ვეცი, მაგრამ ვეღარსად მოვკარი თვალი. შემეშინდა, ვაგონქვეშ ხომ არ მოჰყვა-მეთქი და ცოცხალმკვდარმა ძლივს ჩამოვაღწიე თბილისამდე. დეპეშაზე რომ პასუხი მივიღე, კარგად ვარო, მხოლოდ მერე დავუდე გული და ვუამბე ჩემს ქმარშვილს და მეგობარ-მოკეთეებს ჩემი თავგადასავალი. ყველა მხიარული და კმაყოფილი დარჩა ჩემი მგზავრობის ამბით.

ამის შემდეგ დღეებს ვითვლიდი შვილის მოლოდინში — წლის დამლევს უნდა ჩამოსულიყო. განა ამ მოლოდინზე ტკბილი არის რაიმე დედისათვის? ჩვენ ერთმანეთს ჩავიკრავთ გულში, მოვუყვებით განვლილი დღეების ამბავს, სიცილს და ტირილს ერთმანეთში ავურევთ, მერე კი ბედნიერ მომავალზე ვიფიქრებთ...

ყველა ეს ტკბილი ოცნება ტყუილ ოცნებად იქცა და ორმოცდაერთმა წელმა სისხლით და ცრემლით შეცვალა ისინი; რამდენი დედა დაითალხა, რამდენი დაობლდა, რამდენი დაქვრივდა, რამდენის ტკბილი ოცნება დაიფერფლა სიყვარულზე და ოჯახის შექმნაზე.

მტერი დაგვესხა, გამოცხადდა დიდი სამამულო ომი. სამშობლოს დაცვა უნდა. მხდალი და მოღალატე არც ერს უყვარს, არც მშობელს და შენც ყველაზე უსაყვარლესს, ყველაზე უტკბესს, ტანჯვითა და შრომით გამოზრდილს ისტუმრებ შორს, მაშინ, როცა თვითონ მოელი მისგან პატრონობას, იმედი გაქვს — ცრემლს დამაყრის და მიწას მიმაბარებსო. ემშვიდობები და არ იცი, რა მოელის, რამდენი გაჭირვება, უბედურება. დაგიბრუნდება კი?

დედებო, მომავალო დედებო, მოითხოვეთ მშვიდობა! ის ყველაფერზე ძვირფასია ამ ქვეყნად. მხარი დაუჭირეთ ჩვენი მთავრობის და მთელი მოწინავე კაცობრიობის სამართლიან მოწოდებას — შეწყდეს ქვეყნად ომი, შეწყდეს სისხლისღვრა და გაპარტახება...

...სულ მალე წერილი მივიღე. ფრონტისკენ მივდივარო, — მწერდა ჩემი შავთვალა. შემდეგ მის კვალს დაადგნენ ჩემი ქალიშვილის ქმარი, ჩემი ძმა, ძმისშვილი, მულისშვილი, მაზლისშვილი, ზოგი ნახევრად, ზოგი კი მთლად ობლები და ჩემი და ჩემი ქმრის კეთილი გულით ნაამაგრები, ყველანი თავის გზაზე დამდგარნი.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთი ბრწყინვალე ნიმუში, კარელურ-ფინური ეპოსი „კალევალა“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამ დიდებულ ნაწარმოებს მიმდინარე წელს ქართულ ენაზე სცემს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. „კალევალა“ ქართულად თარგმნეს მუხრან მაჭავარიანმა, შოთა ჩანტლაძემ და გივი ძნელაძემ.**

**გთავაზობთ „კალევალას“ ერთ თავს, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ემშვიდობება ქალიშვილი თავის სახლ-კარს გათხოვების წინ.**

„ამოიოხრა ქალწულმა მწარედ,
მოუწყლიანდა თვალები უცებ,
მერე ღვარ-ღვარად დადინდა ცრემლი
და ლოცვასავით ჩურჩულით წარსთქვა:
„აჰა, კარზეა მომდგარი უკვე
გამოთხოვების წუთები მძიმე.
ო, როგორ მიმძიმს, ო, როგორ მიმძიმს, —
დავემშვიდობო ჩემს ლამაზ სოფელს, —
სად ავახილე პირველად თვალი,
სადაც დაირწა აკვანი ჩემი,
სად ამოვიდგი პირველად ენა,
სადაც ავიდგი პირველად ფეხი,
სად გავატარე ბავშვობა მთელი,
სადაც ვიზარდე, დავქალდი სადაც.
ფიქრადაც კი არ მომსვლია თავში,
თუ ჩემს მშობლიურ სახლსა და ეზოს,
ან ამ მთას მაღალს, ამ ლამაზ მინდვრებს
შევეელეოდი ოდესმე წუთით,
ახლა კი მჯერა, ახლა კი ვიცი:
უნდა დავტოვო სამშობლო მხარე.
გამოთხოვების ჩამოჰკრა ზარმა,
და, აჰა, ჩემი წასვლის დროც დგება;
უკანასკნელი დასცალეს კათხა,
გზას მილოცავენ ქაფქაფა ლუდით
და მარხილებიც მზადაა უკვე, —
პირით ისინი გზისაკენ დგანან,
შეუქცევიათ თავლისთვის ზურგი,
გვერდით კი ჩვენი გომური მოჩანს.
განშორებისას მადლობა რითი
გადავუხადო მე — არრას მქონემ —
დედას, რომელმაც მაწოვა ძუძუ,
მამას, რომელმაც ამაგი დამდო,
სიყვარულის წილ რა უნდა ვუზღო
ჩემს თავზე უფრო საყვარელ და-ძმას?!
გამოიღებდა პირიდან ლუკმას
და მე მაძლევდა მამილო ჩემი,
ასე გამზარდა ამხელა ქალი, —
აბა, რა მეთქმის მადლობის მეტი!
დედილომ ცხრა თვე მატარა მუცლით,
მერე მშობა და მაწოვა ძუძუ,
ძილგატეხილი მირწევდა აკვანს, —
ჩემს დედილოსაც მადლობა დიდი!
მადლობა, ჩემო კეთილო ძმაო,
მადლობა, დაო, მადლობა ყველას, —
ოჯახის წევრებს, ტოლ-სწორთა ჩემთა,
ვისთანაც ველზე ხალისით ვრბოდი, —
ვინც და-ძმანივით მიყვარდა მუდამ, —
თქვენ — ყველას, ყველას მადლობა ჩემი!
მინდა, არ მინდა უნდა დაგტოვოთ.

# კალევალა



ილუსტრაცია „კალევალას“ აკადემიური გამოცემიდან

მე ხომ ქვეყანა მიმელის უცხო,
თვითონ არ ვიცი, მივდივარ საით,
რა მხარესაა ქვეყანა იგი.
ჩემო დედილო, მამილო ჩემო,
შენ, ჩემო ღვიძლო მოდგმავ და ჯიშო,
თქვენ, ვისაც გწყდებათ ამ წუთში გული,
გთხოვთ, არ იჯავროთ ძალიან ჩემზე.
ეს მზე ხომ ყველგან ანთია დღისით,
ღამით ხომ ყველგან ანათებს მთვარე,
ეს ვარსკვლავები იბრწყინებს იქაც,
იქ დიდი რვილიც იქნება ცაზე
და შეწევნითა ღვთისათა, ალბათ,
არ დაიჩრდილვის სიცოცხლე ჩემი.
გამოვეთხოვო ყველაფერს უნდა,
ეზოს და წყაროს, ტყესა და ღელეს,
სახლსა და ბელელს, თავლას და გომურს,
ვეება მთებს და ხილურჯეს ცისას,
უნდა დავტოვო ეს მწვანე ბუსნო,
დაქანებული მთებიდან წყალნი,
დე, შიგ ქალებმა იბანონ ტანი,
იჭყუმპალაონ პაწია მწყემსთა.

მთესველს ვუტოვებ პოხიერ მინდვრებს,
სიმშვიდის მძებნელთ — ტყეები რჩებათ,
შეყვარებულებს — არყების ჩრდილი,
დიდრონ ეზოებს ვუტოვებ ბავშვებს,
ბუჩქები — ჩიტებს, ჭანჭრობი — იხვებს,
და ვინ ჩამოთვლის: ვის-რა და რას-რა!..

თუ დაბრუნება მეღირსა უკან,
კვლავ თუ ვიხილავ მშობლიურ მთა-ველს,
ვერ გაიგონებს ჩემს ქვითინს დედა,
ვერ გაიგონებს ჩემს მოთქმას მამა, —
მათ საფლავებზე ამოსულ ღვიას
მწარე გოდებით დავაფრქვევ ცრემლებს.

თუ კი დავბრუნდი ოდესმე უკან —
არ შემომხვდება არავინ, ვიცი,
მე ჩვენი ძროხა შემიცნობს მარტო, —
ჩვენი ლამაზა დამხვდება გზაზე;
როცა კუნტრუშა ხბო იყო იგი —
ვასმევდი წყალს და ვაჭმევდი ბალახს,
ახლა კი, აგერ — ჭირხლიან მინდორს
გაჰყურებს, ბღავის და ითხოვს საჭმელს...
მე ამ ოჯახში გაზრდილი რომ ვარ —
მიხვდება იგი და მიცნობს, ვიცი.

მე მამაჩემის შემიცნობს ცხენი, —
ჩვენი თეთრონი დამხვდება გზაზე;
მე მაძღრად მყავდა ყოველთვის იგი,
ოდეს პატარა ვიყავი გოგო,
ახლა კი აგერ — ჭირხლიან ველზე
თავაწეული ჭიხვინებს მჭახედ...
მე ამ ოჯახში გაზრდილი რომ ვარ —
მიხვდება ისიც და მიცნობს, ვიცი.

ჩემი ძმის ძაღლიც შემიცნობს, მჯერა, —
ჩვენი მურიკა დამხვდება გზაზე;
როს იგი იყო პაწაწა ლეკვი —
ვასმევდი რძეს და ვაჭმევდი ფაფას,
ახლა კი აგერ, რაღაცას ეძებს
და ყეფა-ყეფით ეზოში დარბის...
მე ამ ოჯახში გაზრდილი რომ ვარ —
დამყნოსავს ერთს და... მიხვდება ისიც.

თუკი დავბრუნდი ოდესმე უკან —
თავის ადგილას დამხვდება სახლი,
ყურეც და ფონიც, მთებიც და გზებიც —
თავის ადგილზე დამხვდება ყველა,
მაგრამ ვერც ერთი მათგანი ჩემში
ვერ დაინახავს თავის ძველ ნაცნობს...

გემშვიდობები შენ — ჩემო სახლო,
გადახურულო კრიალა ყავრით,
ნეტაი ერთხელ გიხილო კიდევ —
გულს შენი ნახვა სიამეს მოჰფენს.

ნახვამდე, ჩემო გაშლილო ეზოვ,
გადაჩრდილულო ტოტებით ჭნავის,
ნეტავი ერთხელ გიხილო კიდევ —
გულს შვებას მოჰფენს დანახვა შენი.

ტყეო და ხეო, ბორცვო და მარწყვო,
იალაღებო, მთებო და გზებო,
ყვავილოვანო, გაშლილო ველო,
ჩემო ნაძვებო, ლივლივა ტბებო, —
განშორებისას, ჰა, კიდევ ერთხელ
მიიღეთ ჩემი სალამი წრფელი!“

თარგმნა გ. ძნელაძემ



# სადაც სამკურნალო წყაროებია

ივლისის მზე მწვავედ აცხუნებდა; გარშემო ჭრიჭინების გაბმული ზუზუნი ისმოდა.

ეზოში ორად ორი, საჩრდილობლად უვარგისი ხე იდგა. ეზოს გადაღმა კი მაყვლებითა და გვიმრებით დაფარული მინდვრები იწყებოდა.

ბექობზე წამომდგარი სანატორიუმის თეთრი კორპუსების გარდა ახლომახლო რაიმე ხეირიანი შენობა არ ჩანდა.

ფიცრული სახლის აივანზე ყმაწვილი ქალი იჯდა. გვერდით ხელბარგი ეწყო, ახალჩამოსულს ჰგავდა. ეტყობოდა, ვიღაცას ელოდებოდა. ბოლოს წამოდგა, უხალისოდ ჩაიარა ხის კიბე და წყლის ონკანს მიაშურა. ცხელმა წყალმა ცუდ გუნებაზე დააყენა...

„ესეც თქვენი წყალტუბო! არც სადმე ჩრდილი, არც ხეირიანი სასმელი წყალი. კოლოებს თუ გადაურჩი, კარგი ვაჟკაცობაა", — ამბობდა თავისთვის...

ასეთი ნახა 25 წლის წინათ დაბა წყალტუბო ახალბედა მეტყევე ინჟინერმა.

მეტყევეების წინაშე იდგა ამოცანა: დაეცვათ და აღედგინათ ტყეები, გაეტყევებინათ მთის ხრიოკი კალთები, კურორტის ირგვლივ შეექმნათ მწვანე სარტყელი.

როგორც რაიონის მეტყევე, ემა მალანია თავს არ იზოგავდა, მხარში ედგა მუშებს. მისი ხელმძღვანელობითა და პირადი მონაწილეობით გაშენდა გუმბრის, ხომულის, ქვილიშორის, ცხუნკურის, ყმისთავის ტყის კორომები, აზურმუხტდა სერები და გორაკები.

სოფელ გუმბნარში ფერდობებს რომ ატყევებდნენ, ზოგიერთები ეჭვს გამოთქვამდნენ: ამ ადგილებში მიმდგარი კირქვაა, კუნელი ძლივს ხარობს და ნაძვსა და კიპაროსს რა გაახარებსო. მაგრამ მეტყევე ქალი იმედს არ ჰკარგავდა. 84 ჰექტარზე გააშენეს წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშები.

იმ წელს გვალვამ იმძლავრა, ნორჩ მცენარეებს დაღუპვის საფრთხე დაემუქრა. ემა მალანია და მუშები ღამეებს ტეხდნენ და ნარგავებს რწყავდნენ. ნარგავების 78 პროცენტმა გაიხარა.

წლიდან წლამდე, დარსა თუ ავდარში, მეტყევე ქალის ხელმძღვანელობით ხე-ბუჩქებით იფარებოდა ხრიოკები. ძველ ტყეებს მხარი დაუმშვენეს ზღვისპირეთის, ელდარის, ბიჭვინთის, ჰიმალაის ფიჭვის კორომებმა.

1955 წელს ემა სატყეო მეურნეობის დირექტორად დააწინაურეს. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკას შეემატა 1.325 ჰექტარი ტყე. ეს მაშინ, როცა რელიეფის თავისებურების გამო მთელი სამუშაოები ხელით სრულდება. ტყეების გაშენება უხდებათ დახრამულ და ციცაბო ფერდობებზე, სადაც კირქვა ჭარბობს. ტრაქტორისა და ორმოსათხრელი მექანიზმების გამოყენება ძალიან ნაკლებად ხერხდება.

მიუხედავად ამისა, მარტო შარშან ახალი ტყე 100 ჰექტარზე გაშენდა, ხოლო მოვლითი სამუშაოები 2.300 ჰექტარზე ჩატარდა. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს სანერგის გაშენებისა და თესლების დამზადების დავალებათა შესრულებაშიც. ბუნების დაცვის კეთილშობილურ საქმეს უანგაროდ ემსახურებიან აპოლონ ზვიადაძე, ვასილ სინაურიძე, გიორგი იოსელიანი, ვარლამ გურეშიძე, ალექსანდრე აკიმჩევი, თამარ ფანცხავა, გენადი დოლაბერიძე.

...ხეივანში „კოლხოზნიკი" მისრიალებს. დროდადრო მანქანა ჩერდება. იქიდან ქალი გადმოდის და ახალგაზრდა ხეებს გულდასმით ამოწმებს. საქართველოს სსრ დამსახურებულ მეტყევეს ემა მალანიას კურორტ წყალტუბოს ტყიანი შემოგარენი ახალისებს.

შოთა ბენძეხაძე

# მესხი ქალის დანატოვარი

თითქმის ყველა სამუშაო კარგად დაამთავრა... თამარ-მეფის დიდებულებიც ცოცხლად გამოიყურებიან... მათი ტანისამოსის ფერიც კარგად არის შერჩეული. თამარის სკიპტრაც გულდაგულ ამოჰქარგა ოქრომკედით... აქ ყველაფერი ბრწყინავს. შოთა რუსთაველის მოელვარე სამოსელი მზესავით კაშკაშებს. დიდებულ მგოსანს მუხლი მოუყრია თამარის წინაშე და თავისი „ვეფხისტყაოსანი" გაუწვდია დედოფლისათვის.

ჰო, ყველაფერი რიგზეა... მან ერთხელ კიდევ შეხედა თავის ნახელავს და მზერა თამარზე შეაჩერა... მას ნათელი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი კაბა აცვია, თავს სამეფო გვირგვინი ადგას. მშვენიერია თამარი, მაგრამ ხელოვანს უნდა უფრო უკეთესი იყოს... და ის მეექვსედ დაუბრუნდა თამარის წამწამებს. მას ხომ გრძელი, ხშირი, ხავერდოვანი წამწამები ჰქონდა, შოთასაგან მრავალგზის ნაქები წამწამები... — ფიქრობს ხელოვანი და თითქოს უკმაყოფილოა თავისი საქმისა. არა, უფრო უკეთ უნდა გააკეთოს იგი! ფიქრს გაჰყვა... გვერდზე შეტრიალდა დაღლილი... უეცრად სარკეში თავისი ორეული დაინახა: შავი, გრუზა თმიდან ერთი პატარა კულული ურჩად ჩამოშლოდა საფეთქელთან... უცებ დასწვდა მაკრატელს, მოიჭრა კულული და თამარს ანაცვალა: რამდენიმე წუთში ულამაზესი წამწამები შეასხა თამარს. ახლა კი შვებით ამოისუნთქა... კმაყოფილი დაეშვა სავარძელში... — ეს გახლდათ სრულიად უპრეტენზიო, ახალგაზრდა მესხი ქალი — როზა ივანეს ასული მეფისაშვილი. თვითნასწავლმა ოსტატმა მხატვარ ზიჩის ცნობილი ილუსტრაცია თავისებურად აამეტყველა და ოქრომკედით ნაქარგი ცოცხალი სურათი შექმნა.

უყურებთ ამ ძვირფას ნაკეთობას და თვალწინ ცოცხლდება თამარ-მეფისა და შოთა რუსთაველის შეხვედრის ის ლამაზი წუთი, როცა თამარი შოთასაგან სახსოვრად „ვეფხისტყაოსანს" იღებს. თითქოს ესაა დიდი პოეტი გახსნის ბაგეს და ჩურჩულით შეესიტყვება მზე-თამარს:

„მე რუსთველი ხელობითა..."

თამარს გიშრისფერი ხშირი წამწამები რუსთველისაკენ დაუხრია და მომხიბვლელი ღიმილით გაუწვდია ხელი ძვირფასი საჩუქრისაკენ. გარსშემოხვეულ დიდებულთა შორის, მარჯვნივ პატარა ყრმაა, რომელსაც ღვინით სავსე დოქი უჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ელენე ახვლედიანი

როდესაც გამოჩენილი მეცნიერის, სპორტსმენის, ხელოვანის ან ინჟინერი ქალის მოღვაწეობის შეფასების შესახებ ვკითხულობთ, თვალში გვხვდება ერთგვარი შემწყნარებლობითი გაზვიადებები (თუ კი ეს წერილი მამაკაცისაა), ანდა „სუსტი არსების“ მიმართ სტრიქონებს შორის გამოუმარგლავად დარჩენილი ავტორისეული შეღავათები.

ელენე ახვლედიანის მოღვაწეობის შეფასებას შეღავათები არ სჭირდება, მან ვერა მუხინასა და თამარ აბაკელიას მსგავსად, თავისი შემოქმედების გაბედული, ვაჟკაცური გაქანებით ძალოვან კაცთა შორის დაიკავა საპატიო ადგილი. ელენე ახვლედიანის კუთვნილი წილხვედრი მხოლოდ „ძლიერთა“ შორის უნდა მოისინჯოს.

დღეს მას შემოქმედებითი ცხოვრებისა და მხატვრული ძიების დიდი გზა აქვს განვლილი. მხატვრის ხელოვნება პროფესიონალიზმის იმ დონეზეა ასული, რომელზედაც შემოქმედებით პროცესში ჩაბმულ საკითხთა — „რა?“ და „როგორ“-ის კონფლიქტი ისე მწვავედ აღარ არის დაპირისპირებული, როგორც ეს ადრინდელ საფეხურებზე ხდებოდა.

ახლა, ახვლედიანის ნაწარმოებებში უშუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ გარდაისახება მხატვრის მხოლოდ გულისნადები. მისთვის ფორმის „მორგების“ პრობლემა აღარ არსებობს. ვინაიდან ის თავიდანვე გამოსახავს, „რა?“-სთან ერთად იბადება. ამიტომაა, რომ მისი ხელოვნება დღეს ასე ჰხიბლავს ყველას. ამიტომაა, რომ მისი სურათების გამოფენა ყოველთვის ზეიმისა და სიხარულის მომგვრელია.

როდესაც უკან იხედები და ფიქრობ, თუ რა შემოიტანა მან ხელოვნებაში, ამ რეტროსპექტიულ მზერისას, თვალწინ გიდგება მეტად მდიდარი, უაღრესად საინტერესო, გასაოცრად შრომატევადი და არაჩვეულებრივად გულუხვ-ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების განვლილი გზა. მაგრამ ამ გზაში ჭეშმარიტად საოცარია ელენე ახვლედიანის შემოქმედების დღევანდელი ეტაპი. საოცარია იმიტომ, რომ ეს ისევე უმაგალითოა ხელოვნების ისტორიაში, როგორც თვით მხატვრის განუმეორებელი ბუნება: დღეს თმაშევერცხლილ ოსტატს ხანდაზმულთა სიდარბაისლეც ახასიათებს და ჭაბუკური — ახალგაზრდული, აულაგმავი ჟინიანობაც. მისი მერანი ხან უბელოდ მიჭრის, ხან კი შეკაზმულსა და გარსაკრავ შემოკრულს დინჯად მიჰყავს თავისი მხედარი.

ახვლედიანის ფერწერა ხან ღრმაა, ლაპიდარული და კუშტი, ხან კი მსუბუქი, ნაზი, ჰაეროვანი. იგი ხან მხოლოდ ერთი, მთავარი ფერის ძალოვნებას უმორჩილებს ფერთა მთელ გუნდს, ხან კი მათ ჟივილ-ხივილში კონსტრასტულ ფერთა კრიმანჭულები გაისმის. ახვლედიანის ხელწერაში არ იგრძნობა უპირატესობა გამოსახვის რაიმე ერთი საშუალების მიმართ. იგი ერთნაირად ფლობს როგორც გრაფიკულს, ასევე სიბრტყობრივსა და სივრცობრივ წერის მანერას. ამავე დროს, ელენე ახვლედიანის სურათებს თან ახლავს არაჩვეულებრივი რიტმულობა, ისეთი რიტმულობა, რომელიც მხოლოდ მის იმპულსიურ, ტემპერამენტიან და მშფოთვარე სულს შეუძლია დაბადოს. ელენე ახვლედიანის ფერწერა ისევე ცვალებადია, როგორც ბუნება, და ეს ცვალებადობაც თვით მრავალსახოვან ბუნებით არის განპირობებული. ელენე ახვლედიანი ბუნების მხატვარია — პეიზაჟისტი, მაგრამ მისი თემატიკური რეპერტუარი მხოლოდ პეიზაჟით არ შემოფარგლულა. იგი წიგნის ილუსტრატორიც არის და „მკვდარი ბუნების“ ე. წ. ნატურ-მორტის შესანიშნავი შემსრულებელიც. მან უდიდესი წვლილი შეიტანა თეატრალურ ცხოვრებაშიც. მის მიერ გაფორმებულია ორმოცზე მეტი სპექტაკლი; მათი უმრავლესობა კოტე მარჯანიშვილის მიერაა დადგმული.

მართალია მან ბევრი იმუშავა თეატრში, მაგრამ პეიზაჟი მხატვრის მუდმივ თემად დარჩა. სწორედ ამ თემით შეიტანა ელენე ახვლედიანმა თავისი დიდი წვლილი ქართულ საბჭოთა ხელოვნების ისტორიაში.

ელენე ახვლედიანის ფერწერული პეიზაჟების მომხიბვლელობა მათ განუმეორებელ პოეტურ განწყობილებაშია ჩაქსოვილი. მხატვრის შინაგანი ხილვა თვით ბუნების ხასიათის სიღრმეს სწვდება და ღრმად იბეჭდება მასში ბუნების განწყობის გარდამავალი ცვალებადობა. ამიტომ არის, რომ შემოქმედებაში ასე ძალოვნად ვლინდება საკუთარი ხედვის დამოუკიდებლობა და მხატვრული ხელწერის თავისებური ცვალებადობაც.

ელენე ახვლედიანი განსაკუთრებული დეკორატიული ტალანტით არის დაჯილდოებული. მისი ნიჭის ეს დამახასიათებელი თვისება, მრავალწახნაგად დახვეწილი კინოსა და თეატრში, მრავალი კუთხიდან არეკლილი ილუსტრაციასა და ნატურმორტში, არაჩვეულებრივად აელვარდა პეიზაჟებში. სწორედ აქ, მის მიერ დაწერილ ბუნების სურათებში, მყუდროდ ჩამჯდარა დეკორატიულობის გრძნობა, შეთანხმებულა თვით ბუნების „ხასიათთან“ და მის საუკეთესო სურათებში აღწევს იმ ზემოქმედების ძალას, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტად მაღალ მხატვრულ ნაწარმოებებს ახასიათებს.

ელენე ახვლედიანს თანაბარი ძალით იზიდავს, ბუნების როგორც ლირიკულად, ისე ეპიკურად აწყობილი კოლორიტული იერი. უფრო სწორედ კი, მისი გამჭრიახი თვალი იჭერს ბუნების ცვალებადობის განწყობას და ფერად წერს ამ ცვალებად მომენტს. ამიტომაა, რომ მის სურათებში ერთნაირი ძალით არის გადმოცემული, როგორც მცხუნვარე მზეზე აჭახჭახებულ საგანთა ელვარება, ისე მის ჩრდილში შეფარებული ფერთა სიმყუდროვე. მხატვარს ხიბლავს მზის შუქჩრდილით შექმნილი კონტრასტები და ღრუბელს მოფარებულ სხივთა რბილი შუქფენაც. იგი ეგებება დილის სხივებს და ემშვიდობება ჩამავალ მზეს. მას ბუნება მთლიანად უყვარს, მთელი მისი ხასიათის სირთულით, უყვარს ყოველთვის, ყველგან, შინაც, გარეთაც — მშობლიურიცა და უცხოურიც. მხატვრის მარად მაძიებელი სული, ბობოქარი ენერგია და განცდათა რთული კომპლექსი, თავის გამოსახვას, უპირველესად და ყველაზედ მკაფიოდ, სწორედ ბუნების სურათებში ჰპოვებს.

ელენე ახვლედიანს, მოწოდებით პეიზაჟისტს, მკაფიოდ ესმის ბუნების სუნთქვა, მისი ხმები და, როგორიც არ უნდა იყვნენ ეს ჰანგები, ზამთრის სუსხიან სუდარაში გახვეულნი, თუ გაზაფხულის ნაზ ფერებში შენისლულნი, შემოდგომის მსუყედ ნაქარგ ხალიჩით შეფერილნი, თუ ზაფხულის მცხუნვარე მზის ჩრდილში გარინდულნი, მხატვარი პოულობს მათ, პოულობს, ვინაიდან ტილოზე, მათი ფერებში გაღვიძებისას, მხატვარი თავის შემოქმედებით პიროვნებასაც გამოსახავს.

ფერმწერალ ახვლედიანის ხელოვნების საფუძველი, მისი მხატვრულ განცდათა საწყისი, ყოველთვის რეალურ სამყაროს ეყრდნობა, და მხატვრის პრიზმაში გატარებული ეს სინამდვილე, უაღრესად გასულდგმულებული და ადამიანურია. ელენე ახვლედიანის პეიზაჟები მართალნი არიან, მაგრამ არასოდეს წარმოადგენენ ბუნების ზუსტ რეგისტრაციას, რადგან მათი სიმართლე პოეტური სიმართლეა.

ამ ცოტა ხნის წინ, ელენე ახვლედიანმა, მაყურებელს შესთავაზა თავისი ფერწერული ფიქრები თბილისის თემაზე — ხელოვნების მუშაკთა სახლში ოთხმოცზე მეტი ტილო გამოფინა ძველი თბილისის პეიზაჟებისა, რომელთა უდიდესი რაოდენობა უკანასკნელ ორ წელს არის შესრულებულ

ამ ექსპოზიციაში ჩართული რამდენიმე ადრინდელი ტილო განვლილი გზის ერთგვარ მოგონებას წარმოადგენს და საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ როგორი მახლობელი იყო „ძველი თბილისი“ მხატვრისათვის და რა ჯიუტად გასდევდა ეს თემა მის ხანგრძლივს, შემოქმედებითი ძიებით აღსავსე გზას.

ვინ არ მოხიბლულა ისნის კიდეზე დაკიდებულ სახლთა ცხოველხატულობით, დაბახნის ხევზე შემწკრივებულთა რიტმულობით, ან ნარიყალას ციხის კედლების ხავსმოკიდებულ კოლორიტულობით. რომელ მხატვარს არ შთაუბეჭდია ძველი — თბილისური აივნების თაღ-სვეტნარის ხაზთა დინება. ძველ თბილისს ხატავდნენ ძველად და ხატავენ ახლაც — შინაური თუ სტუმრად მოსული მხატვრები. მაგრამ, ელენე ახვლედიანის ძველ თბილისს აქვს თავისი განუმეორებელი სახე, ახვლედიანისებური შეზავებული გემო. ისევე, როგორც ლადო გუდიაშვილმა, ძველი თბილისის ყარაჩოღელთა ბოჰემა ხელოვნებაში სახიერი ჰყო, ასევე, ელენემ, ძველი თბილისის არქიტექტურული საოცრება ტილოზე ფერით მოქარგა, მისი ფერწერილი გადამღერება მოგვცა.

ამასთან ერთად, ელენე ახვლედიანის თბილისური პეიზაჟები ქალაქის ხუროთმოძღვრების არც არქეოლოგიური ჩანახატებია და არც ეთნოგრაფიულ ექსპონატთა განმმარტავი სურათები. ისინი ქალაქის სახის ფერწერილი პორტრეტებია, მისი მხატვრულ-დეკორატიული ინტერპრეტაცია.

ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ კოტე მარჯანიშვილმა **1933** წელს თავის სპექტაკლისათვის „მზის დაბნელება საქართველოში“ ძველი თბილისის კოლორიტული ანტურაჟის შექმნა სწორედ ელენე ახვლედიანს მიანდო. დიდმა რეჟისორმა იცოდა თავისი საქმე.

დღეს თბილისი სწრაფად იცვლის სახეს. ელენე ახვლედიანს ყურადღების გარეშე არ რჩება ეს ამბავი. მხატვრის მიერ დანახულია, როგორც დღევანდელი თბილისი, ისე მისი მომავალიც — ჯერ კიდევ ახალ შენების

ეროვნული ბიბლიოთეკა







ხარახოთა ტყით დაფარული, და ამაშია სწორედ განუმეორებელი თავისებურება მისი მხატვრული ხედვისა, მისი შემოქმედებითი ამოცანების დიაპაზონის სიფართოვისა. მხატვრის მგრძნობიარე თვალი ხარბად სრუტავს წარსულის რომანტიკას, მის პოეტურ საწყისს.

ამავე დროს, მხატვრის ფხიზელ ინტელექტსა და მახვილ ყურს ესმის თანამედროვე მშენებლობის გიგანტური სვლის რიტმი და მაჯისცემაც. მხატვარი ხშირად ამ კონტრასტულ დისონანსებს ერთ ტილოზედ ათავსებს და მაყურებელს აჯადოვებს მათი მხატვრული ლოგიკურობის მთლიანობით.

ელენე ახვლედიანის ხელოვნება და შემოქმედებითი ცხოვრების განვლილი გზა სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ წინააღმდეგობათა ამ ჭიდილში იწრთობოდა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების პოეტური სახე.

ელენე ახვლედიანმა ახალი მოტივებით გაამდიდრა ქართული პეიზაჟური მხატვრობა და გვაჩვენა, თუ რა მდიდარი და უძიროა ჩვენი საქართველოს დიადი ბუნების მრავალფეროვანი სილამაზე.

ლეო რჩეულიშვილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა




# ერთი ქალის დანატოვარი

რავს, იგი ისე განაბულა, თითქოს ეშინია, თავისი სუნთქვით არ დაარღვიოს ეს დიდებული წუთიო. უყურებთ ამ სურათს და, ასე გგონიათ, თითქოს ერთი ამოსუნთქვით იყოს შექმნილი, თუმცა იგი ოთხი წლის განმავლობაში მზადდებოდა.

როზა მეფისაშვილმა ოთხი წელი მოანდომა მის შექმნას (1892—1896.). დღეს, აღნიშნული ცოცხალი სურათი, ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას ამშვენებს, ხოლო მისი ფოტორეპროდუქცია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდშია.

რამდენი უძილო ღამე და ნებისყოფაა საჭირო მიზნის მისაღწევად! თვითნასწავლ მქარგველს, მხატვრის ნიჭით დაჯილდოებულ ოსტატს, თავისი ნახელავი, ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე თბილისში, დიდი ილიასა და აკაკისათვის უჩვენებია და მათგან ქება და მადლობაც მიუღია.

როგორც ჩანს, როზა მეფისაშვილს სხვა ნამუშევრებიც ჰქონია. მათ შორის, თამარ-მეფე, ფეხზე მდგომარე, მეფის სამოსელში, რომელიც 1845 წელს გამოშვებულ ფოტორეპროდუქციიდან გაუცოცხლებია. მისი ხელსაქმე აქაც ორიგინალურია. სახელმწიფოს მმართველი ქალის სიდიადე, სინატიფე და გმირობა ერთად შეურწყავს. ოსტატს წარწერა ნაქარგით გაუკეთებია: „ხელოვანი როზა ივანეს ასული მეფისაშვილი“, ქვემოთ კი გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან — „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ — ნაწყვეტი ამოუქარგავს.

როზა მეფისაშვილი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა ქალაქ ახალციხეში, ხოლო თავისი ნახელავი — მარად ცოცხალი სურათი — ძვირფას საჩუქრად დაგვიტოვა.

ელენე დიდიმამიშვილი



# ლოდინი



**ერნესტ ჰემინგუეი**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

**მხატვარი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა**

როცა ფანჯრების დასახურავად შემოვიდა, ჩვენ ჯერ კიდევ ვიწექით. უმალ შევნიშნე, კარგად ვერ იყო. აჟრჟოლებდა, ფერი წასვლოდა. ისე ნელა დადიოდა, თითქოს სიარულიც უჭირდა.

— რა მოგივიდა, შატც?

— თავი მტკივა.

— ჯობს, ისევ ლოგინში ჩაწვე.

— არა. არა მიშავს.

— წადი, დაწექი. როცა ავდგები, გნახავ.

როცა ქვევით ჩავედი, ავადმყოფი, საცოდავი ცხრა წლის ბიჭუნა, ბუხრის პირას ჩაცმული დამხვდა. ხელი შუბლზე დავადე, ვიგრძენი, იწოდა.

— ადი ზევით და დაწექი, ავადა ხარ, — ვუთხარი მე.

— არა, კარგად ვარ, — მიპასუხა.

როცა ექიმი მოვიდა, სიცხე გაუზომა.

— რამდენია? — ვკითხე.

— ას ორი.

ექიმმა ფერად კოლოფებში ჩადებული სამი წამალი დამიტოვა და მიღების წესიც მასწავლა. ერთი სიცხის დასაწევი იყო, მეორე — კუჭის გასაწმენდი, მესამე — ჭარბი სიმჟავის დასაძლევი. ვირუსი ორგანიზმში მხოლოდ სიმჟავის მომატების დროს ხარობსო, — ამიხსნა ექიმმა. ეტყობოდა, გრიპის შესახებ ყველაფერი იცოდა და დამამშვიდა. თუ ტემპერატურა ას ოთხ გრადუსს არ გადასცდა, საშიში არაფერიაო. გრიპის მსუბუქი ეპიდემიაა და, ახლა მთავარია, გრიპს ფილტვების ანთება არ მოჰყვესო.

დავბრუნდი თუ არა ოთახში, ბავშვის ტემპერატურა ჩავინიშნე და ჩამოვიწერე, როდის რა წამალი მიმეცა.

— გინდა, წაგიკითხავ რამეს?

— კარგი. როგორც გინდა.

ძალზე გაფითრებული იყო და თვალის უპეები ჩალურჯებოდა. ჩუმად იწვა და, ეტყობოდა, მისთვის სულ ერთი იყო, რაც ირგვლივ ხდებოდა.

ჰოვარ პაილის ,,მეკობრეების" წიგნიდან რაღაც მოთხრობის კითხვას შევუდექი, მაგრამ შევატყვე, არ მისმენდა.

— როგორა ხარ? — შევეკითხე ბიჭს.

— ჯერ ისევ ისე, — მითხრა მან.

საწოლთან ჩამოვჯექი და ჩემთვის ვკითხულობდი, ვიდრე მეორე წამლის მიცემის დრო დადგებოდა. გავიფიქრე, ჩაეძინა-მეთქი, მაგრამ, როცა შევხედე, ბიჭი რაღაც უცნაურად მიშტერებოდა საწოლის საზურგეს.

— რატომ არ იძინებ? წამლის მიღების დრო რომ მოვა, გაგაღვიძებ.

— ჯობს, ასე ვიყო.

ცოტა ხნის შემდეგ მითხრა:

— მამი, წადი, ნუ შეწუხდები.

— არა, არ ვწუხდები.

— მინდოდა მეთქვა, შეგიძლია წახვიდე, თუ შეწუხდები-მეთქი.

გავიფიქრე, ალბათ ბიჭი ბოდვას იწყებს-მეთქი. თერთმეტ საათზე წამლები მივეცი და ცოტა ხნით გარეთ გავედი.

ცივი, ნათელი დღე იდგა. მიწაზე თოვლჭყაპი ისე მოყინულიყო, რომ შიშველი ხეები და ბუჩქები, თუ ხეებიდან ჩამოყრილი ფიჩხი ყინვისაგან სარკესავით კრიალებდა. ჩემი ირლანდიური მეძებარი ძაღლი წავიყვანე თან და გაყინულ ხევის წყალს ავყევით. მაგრამ მოყინულ ზედაპირზე ფეხის მოკიდება ძნელი იყო და ჩემ წითურა ძაღლს ფეხები გან-გან გაურბოდა. მეც ორჯერ დავეცი. ერთხელ ისე მაგრად, რომ თოფი ხელიდან გამივარდა და შორს გაცურდა ყინულზე.

ბუჩქნარით დაფარულ თიხოვან ნაპირთან კაკბების გუნდი ავაფრინეთ. ის იყო თვალს ეფარებოდნენ, რომ ვესროლე და ორი მოვკალი. ზოგი ხეებში მიიმალა, უმრავლესობა კი ფიჩხებში გაიფანტა. ისევ რომ ამეფრინა, რამდენჯერმე შევხტი მოყინულ ფიჩხებზე. კაკბები თითო-თითოდ

ფრინდებოდნენ, მაგრამ მოყინულ ფიჩხებზე დგომა და ამავე დროს სროლა ძნელი იყო. მხოლოდ ორი მოვკალი, ხუთს კი ავაცდინე. შინ მაინც კმაყოფილი დავბრუნდი, რომ კაკბების გუნდი სახლთან ახლოს შემომხვდა და ასე ბევრი დარჩა ხვალისათვის.

სახლში მითხრეს, ბიჭი ოთახში არავის უშვებს, — ნუ შემოხვალთ, გადაგედებათო.

ოთახში შევედი. ბიჭი ისევ ისე იწვა, როგორც დავტოვე. ისევ ფერმიხდილი იყო, მხოლოდ ყვრიმალები შეწითლებოდა სიცხისაგან და როგორც მაშინ, ახლაც ისევე მიშტერებოდა საწოლის საზურგეს.

სიცხე გავუზომე.

— რამდენია?

— დაახლოებით ასი, — ვუთხარი. ას ორი გრადუსი და ოთხი მეათედი ჰქონდა.

— ას ორი იყო, — თქვა მან.

— ვინ გითხრა?

— ექიმმა.

— მაღალი სიცხე არა გაქვს, საშიში არაფერია — ვუთხარი მე.

— არ მეშინია, — მითხრა მან, — მაგრამ არ შემიძლია არ ვიფიქრო.

— ნუ ფიქრობ, ნუ ნაღვლობ,— ვუთხარი მე.

— მე არ ვნაღვლობ, — წარმოთქვა მან. პირდაპირ იყურებოდა, ეტყობოდა, რაღაც აკვიატებული აზრი მოსვენებას არ აძლევდა.

— აჰა, გადაყლაპე, წყალი დააყოლე.

— მიშველის რამეს ვითომ?

— რა თქმა უნდა.

ჩამოვჯექი და მეკობრეების წიგნის ხმამაღლა კითხვა დავუწყე. მაგრამ შევამჩნიე, არ მისმენდა.

— რამდენ ხანში მოვკვდები? — მკითხა მან.

— რაო?!

— კიდევ რამდენ საათს ვიცოცხლებ?

— არ მოკვდები, საიდან მოიტანე.

— მე ვიცი, რომ მოვკვდები. მან თქვა, ას ორიო.

— ას ორი გრადუსით არავინ არა კვდება. სისულელეს ნუ ლაპარაკობ!

— მე ვიცი, რომ კვდებიან. საფრანგეთში, სკოლაში, ბიჭებმა თქვეს; ადამიანი 44 გრადუსს ვერ უძლებს და კვდებაო. მე კი ას ორი მაქვს

თურმე მთელი დღე. დილის ცხრა საათიდან სიკვდილს ელოდა.

— საბრალო ბიჭუნა, — ვთქვი მე, — ჩემო ბიჭუნა. — ეს ისეა, როგორც მილები და კილომეტრები. შენ არ მოკვდები. ეს სხვა თერმომეტრზე ოცდაჩვიდმეტია ნორმალური, ამაზე კი ოთხმოცდათვრამეტი.

— ნამდვილად იცი?

— რა თქმა უნდა, — ვუთხარი. — ეს როგორც მილები და კილომეტრები ისეა. აბა, მითხარი, თუ მანქანით სამოცდაათ მილს გავივლით, რამდენი კილომეტრი იქნება?

— ა-ა, — თქვა მან, მაგრამ საწოლის საზურგისთვის მზერა კიდევ კარგა ხანს არ მოუშორებია. დაძაბულობამ თანდათან გაუარა, მაგრამ მეორე დღეს სულ მოეშვა და ყოველ წვრილმანზე ტირილს იწყებდა.

თარგმნა ჯუანშერ მჭედლიშვილმა

# სოფიო პეროვსკაია



ჩვენს დედაქალაქში, რუსთაველის მოედნის ახლოს, ერთი ლამაზი, წყნარი ქუჩა რუსი რევოლუციონერი ქალის სოფიო პეროვსკაიას სახელს ატარებს.

სოფიო ლევანის ასული პეროვსკაია აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. მამამისი პეტერბურგის გუბერნატორი იყო. 1869 წელს სოფიო პეტერბურგის ქალთა კურსებზე შევიდა და მოწინავე ახალგაზრდობას დაუახლოვდა. ამ დროს რუსეთში განმათავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ხალხოსნები, რომლებიც თვითმპყრობელობის დამხობას გლეხური რევოლუციის გზით ფიქრობდნენ. ისინი მთავარ რევოლუციურ ძალად გლეხობას და ინტელიგენციას თვლიდნენ და არ სწამდათ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობა.

1861-64 წლებში რევოლუციური მუშაობა გაჩაღა საიდუმლო ორგანიზაციამ „ზემლია ი ვოლიამ“, რომლის სულისჩამდგმელი ნ. ჩერნიშევსკი იყო. სოფიო პეროვსკაია, რომელიც რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა პეტერბურგის მუშებს შორის, 1874 წლის იანვარში დააპატიმრეს. 6 თვის შემდეგ იგი მამის თავმდებობით გაანთავისუფლეს.

1874 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობამ აქტიურად დაიწყო „ხალხში გასვლა,“ რაც მარცხით დამთავრდა. ხალხოსნები 1877-78 წლებში „193-ის პროცესის“ დროს გაასამართლეს. ს. პეროვსკაია სხვა ბრალდებულებთან ერთად ოლონეცკის გუბერნიაში გადაასახლეს, მაგრამ გადასახლებისას გზიდან გაიქცა და არალეგალურად ცხოვრობდა. 1879 წელს პოლიტიკური ბრძოლისა და ინდივიდუალური ტერორის საკითხებში შეუთანხმებლობის გამო „ზემლია ი ვოლიაში“ მოხდა განხეთქილება და იგი „ჩორნი პერედელად“ და „ნაროდნაია ვოლიად“ გაიყო. სოფიო პეროვსკაია ამ უკანასკნელს მიემხრო და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა. „ნაროდნაია ვოლიას“ უახლოესი მიზანი ცარიზმის დამხობა იყო. ხალხოსნებმა დაკარგეს გლეხობის აჯანყების იმედი და ბრძოლის ძირითად მეთოდად წამოაყენეს პოლიტიკური შეთქმულება და ინდივიდუალური ტერორი. მათი მიზანი იყო: მიწა გადასცემოდა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს. ყოველივე ამის მიღწევას ისინი უხალხოდ, შეთქმულების საშუალებით ვარაუდობდნენ. ორგანიზაციის ძირითადი სამოქმედო გეგმა მეფის მოკვლა იყო.

მთელი რიგი ფუჭი ცდების შემდეგ 1881 წლის 1 მარტს მათ ალექსანდრე II-ის მოკვლა განახორციელეს, მაგრამ ამ ტერორს ხალხისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. ცალკეულ პირთა სიკვდილით შეუძლებელი იყო მეფის რეჟიმის დამხობა. თავდასხმის მონაწილენი, მათ შორის ს. პეროვსკაია, დააპატიმრეს და 1881 წლის 3 აპრილს სხვა პირველმარტელებთან — ა. ჟელიაბოვთან, ტ. მიხაილოვთან, ნ. კიბალჩიჩთან და ნ. რისაკოვთან ერთად ჩამოახრჩვეს.

ს. პეროვსკაიას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე ძუნწი ცნობებია შემონახული. ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება „ნედელიაში“ მოთავსებული წერილი „ეშაფოტზე აყვანის წინა დღით“, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ:

„სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რუსული ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ სარედაქციო ქაღალდები. მათ შორის არის მანქანაზე ნაბეჭდი უცნობი ავტორის მოგონება „სოფიო პეროვსკაიას უკანასკნელი დღეები“. მოგონების შინაარსის მიხედვით სავარაუდოა, რომ მისი ავტორი უნდა იყოს დასჯის წინ პეროვსკაიასთვის მიჩენილი ერთ-ერთი ჟანდარმთაგანი.

„საპატიმროში ცნობა მოვიდა, რომ პეტრე-პავლეს ციხის ქალთა განყოფილებიდან, ჩამოხრჩობამდე სამი დღით ადრე გადმოიყვანდნენ სოფიო პეროვსკაიას და გ. გელფმანს. განკარგულების თანახმად ისინი სხვებისაგან განცალკევებით უნდა მოეთავსებინათ. უფროსის გადაწყვეტილებით ქალები პირველი სართულის სხვადასხვა საკნებში შეიყვანეს. ციხიდან ქალები ღამე გადმოიყვანეს.

პეროვსკაია პატარა ტანის ჩასუქებული ქალიშვილი იყო, ჰქონდა მრგვალი სახე, დიდი მუქი ფერის თვალები. იგი იქცეოდა მშვიდად, არ აღელვებდა ისიც კი, რომ მის საკანში ჟანდარმი იმყოფებოდა. საკნის კარი არ იყო დაკეტილი და დერეფანში მეორე ჟანდარმი იდგა.

პეროვსკაიამ, როგორც კი საკანში შევიდა, ჩაი მოითხოვა, დალია და დაწვა დასაძინებლად. მეორე დღისთვის სადილი და რძე შეუკვეთა. მან ითხოვა, რომ მისი იქ ყოფნის დროს ყოველთვის მოეტანათ სადილი. დილით მშვიდად გაუღიმა ჟანდარმს და უთხრა: „ბოდიში, რომ თქვენი თანდასწრებით მომიხდება ჩემი ტუალეტის მოწესრიგება.“ იგი ყოველ წვრილმანზე ბოდიშს იხდიდა. არც ერთი უხეში სიტყვა არ უხმარია არც ჟანდარმერიის და არც ადმინისტრაციის მი-

მართ. დილითვე მოითხოვა საპატიმროს ბიბლიოთეკის კატალოგი, აირჩია წიგნები და გამოიწერა. სადილის შემდეგ მასთან პროკურორი და საპატიმროს უფროსი შევიდნენ. პროკურორმა ჰკითხა, ხომ არ გსურთ რაიმეო. პეროვსკაიამ ჟელიაბოვის ნახვა მოისურვა, მაგრამ უარი უთხრეს. საღამოს სოფიოს დედის წერილი გადასცეს. კამერაში დიდხანს დადიოდა. ჩანდა, წერილმა ააღელვა. ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. მერე მივიდა ფანჯარასთან, თავი ჩამოდო რაფაზე და დიდხანს დარჩა ამ მდგომარეობაში. ბოლოს, სწრაფად მოშორდა ფანჯარას და გარეგნულად მშვიდმა, ჟანდარმს სთხოვა უფროსის თანაშემწის მოყვანა. როცა იგი შემოვიდა, სოფიომ დედისათვის წერილის მიწერის ნებართვა ითხოვა. ნებართვა მალე მიიღო, რადგან პროკურორი ჯერ ისევ საპატიმროში, მამაკაცთა განყოფილებაში იმყოფებოდა.

ჟანდარმისა და თანაშემწის თანდასწრებით სოფიომ დედის წერილის პასუხი დაწერა და ჟანდარმს გადასცა.. უარი განაცხადა სეირნობაზე, ჩანდა ერიდებოდა ზედმეტ მღელვარებას. თავი უაღრესად თავაზიანად ეჭირა, ერთხელაც არ უცდია ციხის რეჟიმის დარღვევა.

მეორე დღეს მის საკანში კვლავ შევიდა პროკურორი ციხის უფროსთან ერთად და სოფიოს უთხრა, რომ დედის ნახვის ნება ეძლეოდა. სოფიო ჩაფიქრდა, ერთბაშად არ უთქვამს პასუხი, შემდეგ კი განაცხადა: „გმადლობთ, რატომ მივაყენო დედას ტანჯვაო“. საღამოს ისევ მოვიდა პროკურორი და ურჩია დაეწერა შეწყალების თხოვნა. სოფიომ უარი უთხრა და სთხოვა ეს წინადადება აღარ გაემეორებინათ, რადგან უშედეგოდ მიაჩნდა. დასჯის წინა დღეს აბაზანის მიღება მოისურვა. კვლავ საჭირო იყო ნებართვა, რომელიც საღამოსღა დართეს, იმ პირობით, რომ ოთახში უნდა ყოფილიყვნენ უფროსის თანაშემწე და ზედამხედველი ქალები, დერეფანში კი — ჟანდარმი.

საღამოს 8 სათისათვის ქალთა განყოფილებაში მოამზადეს აბაზანა. ერთი ჟანდარმი აბაზანის ახლოს იდგა, მეორე — დერეფანში, მესამე კი — ეზოში გასასვლელ კარებთან. პეროვსკაია თანაშემწისა და ზედამხედველი ქალების თანხლებით ნელა მიდიოდა დერეფანში და თითქოს რაღაცას იგონებდა. ბოლოს თქვა: „მე აქ ვიყავი „193-ის პროცესის“ დროს, მაშინ, 16 წლისა, მოვედი როგორც თავისუფალი ადამიანი. როცა ბრალდებულები სასამართლოდან სადილისთვის მოიყვანეს, ჩუმად შემოვედი. მათ საერთო საკანში ისადილეს. უფროსობამ აურზაური ატეხა... მე წასვლა მიბრძანეს.“

პეროვსკაიამ კარებთან ჟანდარმები დაინახა და მიხვდა, რომ თანაშემწე და ზედამხედველი ქალები აბაზანის ღია კარებთან უნდა მდგარიყვნენ, მან თქვა: „ტყუილად გეშინიათ, რომ თავს რაიმეს ავუტეხ, მე ბედნიერებად მიმაჩნია ამხანაგებთან ერთად სიკვდილი“. თანაშემწემ სთხოვა არ ელაპარაკა, რადგან შეიძლება უსიამოვნება შეგხვდესო. პეროვსკაიამ ბოდიში მოუხადა და ამის შემდეგ ერთი სიტყვაც არ უთქვამს. აბაზანიდან დაბრუნებულმა ჩაი დალია და დასაძინებლად დაწვა. ამ დროს უფროსთან ერთად მოვიდა პროკურორი და თანაშემწეს სთხოვა პეროვსკაიასთვის გადაეცა, რომ მისი ნახვა სურდა. პეროვსკაიას პროკურორის მიღება არ უნდოდა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა. პროკურორს მისთვის დედის წერილი მოეტანა და წაკითხვა შესთავაზა, თანაც თუ ისურვებდა, პასუხიც დაეწერა და მისთვის გადაეცა. „მოვიფიქრებ“, — უპასუხა პეროვსკაიამ.

პროკურორი და უფროსი ის იყო გავიდნენ საკნიდან, რომ პეროვსკაიამ ჟანდარმს სთხოვა თანაშემწისათვის დაეძახა. თანაშემწე პროკურორსა და უფროსთან ერთად მოვიდა. „მითხარით, ბავშვები გყავთ?“ — ჰკითხა სოფიომ თანაშემწეს, რომელმაც გაკვირვებით მიუგო: „დიახ“! „თქვენ როგორც დედამ, — განაგრძო პეროვსკაიამ, — უნდა გამიგოთ, რა მძიმეა საწყალი დედაჩემის მდგომარეობა, მე კი იგი ძალიან მიყვარს. წაიღეთ წერილი უკან, მე მას არ წავიკითხავ, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, მომეცით დაძინების უფლება“. პროკურორს კი ჰკითხა: „თუ შეიძლება მითხარით, ხვალ რომელ საათზე წამიყვანენ“? „დილის 6 საათზე“—უპასუხა პროკურორმა. „როგორ წამიყვანენ, მარტოს თუ...?“ „არა, ყველას ერთად“. პეროვსკაიამ მადლობა გადაუხადა პროკურორს. როგორც ჩანდა, ამ ცნობამ იგი დააწყნარა და კარებთან მდგომ ჟანდარმს სთხოვა 5 საათზე გაღვიძება, თუ ამ დროისათვის თვითონ არ გაეღვიძებოდა, დაწვა და დაიძინა.

ღამით პეროვსკაიას მშვიდად ეძინა. ხუთის ნახევარზე თვითონ გაეღვიძა, პირი დაიბანა და ჩაი მოითხოვა. ჩაის დალევის შემდეგ ჭიქა მექანიკურად გამორეცხა და ჟანდარმს ჰკითხა, რომელი საათიაო. როცა გაიგო, ექვსი სრულდებოდა, ციხიდან მოყოლილ საგნებს თავი მოუყარა და ითხოვა, ისინი გაეცათ თავიანთი შეხედულებისამებრ.

სრულ 6 საათზე პეროვსკაიას საკანში ჟანდარმერიის ოფიცერი, საპყრობილის უფროსი და ორი ჟანდარმი შემოვიდა. პეროვსკაია საკნიდან დამშვიდებული გამოვიდა, მხოლოდ ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი იყო. იგი წაიყვანეს ვაჟთა განყოფილების აბანოში, სადაც თანაშემწისა და ზედამხედველის თანდასწრებით პატიმრის ტანსაცმელი ჩაიცვა, რომელიც შედგებოდა თეთრი, უხეში ტილოს ზედატანისა, შავი მაუდის ქვედატანისა, შავი ტყავის ფეხსაცმელისა და თეთრი ბამბის წინდებისაგან.

როცა პეროვსკაიამ ჩაიცვა, ჟანდარმმა უფროსს მოახსენა. შემოვიდა ჯალათი. იგი მთვრალი იყო. პეროვსკაია მდაბლად თავის დაკვრით გამოემშვიდობა უფროსის თანაშემწეს და ზედამხედველ ქალებს. ჯალათმა ისე უხეშად შეუკრა უკან ხელები, რომ სახსრებმა ჭახანი გაიღეს, ყელზე ჩამოჰკიდა შავი დაფა წარწერით: „მეფის მკვლელი“, შემდეგ უბრძანა, უკან გაჰყოლოდა. პეროვსკაია, რამდენადაც ვიწრო ქვედატანი საშუალებას აძლევდა, ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა. მას უკან ორი ჟანდარმი მისდევდა.

პეროვსკაია მიიყვანეს გასასვლელ კართან.

მამაკაცები უკვე გაენაწილებინათ ეტლში და მიეკრათ საჯდომებზე. ეტლი საპყრობილის ალაყაფთან იდგა და ჯალათს დასასჯელნი დერეფნიდან პირდაპირ ეტლში აჰყავდა. ჟელიაბოვი კარებთან ახლოს იჯდა და დაინახა, როგორ მიჰყავდათ პეროვსკაია.

„ქალსაც, ნუთუ ქალსაც ჩამოახრჩობენ?“ — დაიყვირა და სისხლი სახესა და ყელში მოაწვა, ჩამოხტომა სცადა, მაგრამ ამაოდ. პეროვსკაია მშვიდად ავიდა ეტლში. ის კოცნით გამოემშვიდობა იმ ამხანაგებს, რომელთა ახლოსაც მოუხდა გავლა. საპყრობილის ჭიშკარი გააღეს, უზარმაზარმა ეტლმა ადმინისტრაციის ეზო გაიარა, გავიდა ქუჩაში და ეშაფოტისაკენ გასწია.“

ანზორ აბულაშვილი

# პოემა დღევანდელ ვერონიკაზე

„ვადარებდით ვერონეზეს ნახატს“.
გ. ტაბიძე.

ჰგავს ამფითეატრს ამ თეთრი კაფეს
ზღვის მონაპირე ეს აივნები.
თქვენ აიწიეთ თვალთაგან რიდე
და ლურჯი სივრცის მზერა ინებეთ.
წამს მამაკაცთა დაცხრა სიცილი
და ერთი წამით იგრძენით ღელვა,
მაგრამ მათ მღვრიე თვალებს სიცივე
უბრძანა თქვენმა ამაყმა მზერამ.
მერე გახედეთ გაშლილ პლიაჟებს,
(სირბილემ დაჰკრა მბრძანებლურ იერს),
შორს მთები ჰგვანან უცხო მირაჟებს,
მე ვიცი — მთები თქვენ გიყვართ ძლიერ,
ოდნავ ირწევა ლურჯი ზღვა ქვევით,
ზღვის წინ დგას კაფე, ვით თეთრი გედი.
და ამ სექტემბრის საღამო ნელა
შემოდის ვარდის ფერებით სავსე.
მუდამ ასეთი მახსოვხართ ვერა,
არ ივიწყებენ ამ ქვეყნად ასეთს...
თქვენაც უდგეხართ ეპოქას მხარში,
ნაზი ხელები ავლებენ ხაზებს —
მტკვარზე თუ დნეპრზე ასაგებ კაშხლის.
და შემდგომ ამის ისვენებთ ზღვაზე.
არის სიმძლავრე — სინაზე თქვენი.
სხვა დიდი საქმე გეძახით ახლაც...
იყო ამქვეყნად პოეტი ერთი,
ვინც პეტროგრადის ქუხილშიც გნახათ.
თქვენ გადახრილხართ წყლისაკენ ოდნავ
(შემოჰპარვია გარემოს მწუხრი...),
ზღვა მოქცევისას იმგვარად მოდის,
თითქოს ნაპირზე ვიღაცა უხმობს...
და მაგონდება მე ეს შეხვედრა, —
დიდი ხნის მერეც, ძალიან ხშირად.
თქვენ მოდიოდით და უნათლესი
ენთო საღამო შავი ზღვის პირას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბრები მუსიკაზე

# ოპერა

## ქართული ოპერა

10052

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოში ეროვნული კულტურის აღორძინება დაიწყო. ეს გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო აღმავლობამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, დიდი მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები. საქართველო ოდითვე გამოირჩეოდა დიდი მუსიკალობით, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ხალხს, რომელსაც გააჩნდა ესოდენ მდიდარი, მრავალფეროვანი, უნიკალური სასიმღერო შემოქმედება, არ შეეძლო არ შეექმნა მაღალი პროფესიული მუსიკალური კულტურა.

ჯერ კიდევ ძველად, განსაკუთრებით მე-9-12 საუკუნეებში ქართულმა მუსიკამ ბრწყინვალე აღმავლობას მიაღწია. ადვილი წარმოსადგენია რაოდენ განვითარდებოდა ის მომავალში, ამის სათანადო პირობები რომ შექმნილიყო. მაგრამ საუკუნეების მანძილზე დამპყრობელთა წინააღმდეგ დაუსრულებელმა ბრძოლებმა დიდი ხნით შეაფერხეს კულტურის, ხელოვნების ზრდა. მხოლოდ ხალხური სიმღერა, ადამიანის განუყრელი თანამგზავრი, მოვიდა ჩვენამდე ვით დიადი ისტორიული ძეგლი, შეინარჩუნა თავისი განუმეორებელი კოლორიტი.

ხალხურ სიმღერაში აისახა ერის წარსულის მრავალსაუკუნოვანი გზა.

გასული საუკუნის შუა წლებში, როდესაც ქართული კულტურის აღორძინება დაიწყო, ხალხური სიმღერა ყურადღების ცენტრში მოექცა. დაიწყო მისი შეკრება, ჩაწერა, კრებულებად გამოცემა. იგი უნდა გამხდარიყო მთავარი წყარო პროფესიული შემოქმედებისა, და პირველ რიგში, ეროვნული საოპერო ჟანრისა.

ოპერისადმი მიდრეკილება ამ ხანაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მართალია, ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო საოპერო თეატრი, და ამიტომ მუსიკოსებს, მომღერლებს სხვა მხარეებიდან იწვევდნენ, მაგრამ კულტურის, ხელოვნების საერთო აღმავლობა იმდენად საგრძნობი ხდებოდა, რომ განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეროვნული თეატრის ჩამოყალიბების საკითხი.

ჩამოყალიბდა პირველი პროფესიული გუნდები, მუსიკალური სკოლა, მუსიკალურ-დრამატული თეატრები.

და აი, 1851 წლის 9 ნოემბერს, დიდი მოლოდინის შემდეგ, აიხადა ფარდა პირველი ქართული საოპერო თეატრისა. პრემიერის დღეს დაიდგა დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმური".

თბილისში ჩამოვიდა იტალიელ მომღერალთა დასი. მათ დიდად შეუწყეს ხელი საოპერო მუსიკის პროპაგანდას ჩვენში. ამიერიდან ოპერა გახდა ქართველი მსმენელის საყვარელი ჟანრი.

განსაკუთრებით გამოცოცხლდა საოპერო თეატრის ცხოვრება 80-იან წლებში, როდესაც მხატვრულ ხელმძღვანელად და დირიჟორად მოიწვიეს ცნობილი რუსი კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი. თეატრის სცენაზე დაიდგა რუს და დასავლეთ ევროპის საუკეთესო კომპოზიტორთა ოპერები, თბილისის საოპერო თეატრმა ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის სახელი მოიხვეჭა, ხოლო თბილისელებმა — უაღრესად სტუმართმოყვარე და ამავე დროს მომთხოვნი მსმენელის სახელი. აქ ჩამოსვლა, აქაურ სცენაზე გამოსვლა ცნობილ მომღერლებსაც კი დიდ პატივად მიაჩნდათ. ამიტომაც ქალაქის თეატრალური ცხოვრება ჩქეფდა, აქ ჩამოდიოდნენ მსოფლიოს ყველა კუთხის მუსიკოსები.

დიდად აფასებდა თბილისის საოპერო თეატრს პ. ჩაიკოვსკი. იგი ხუთჯერ ეწვია საქართველოს, პატივს ცემდა და კარგად იცნობდა ჩვენს ქვეყანას. თბილისის საოპერო თეატრმა, ერთერთმა პირველმა, პეტერბურგისა და მოსკოვის შემდეგ, დადგა ჩაიკოვსკის ოპერა „მაზეპა", ამან დიდი კომპოზიტორის უზომო სიხარული გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ რუსეთში „მაზეპა" საკმაოდ ცივად მიიღეს, ჩვენთან კი ოპერა ერთ სეზონში 12-ჯერ დაიდგა. ჩაიკოვსკის პირველი ჩამოსვლა საქართველოში მუსიკალური საზოგადოების ზეიმად იქცა. თეატრის ლოჟა, სადაც ის უნდა მჯდარიყო, კომპოზიტორის საყვარელი ყვავილებით — თეთრი შროშნებით აავსეს.

მაგრამ, რაც არ უნდა დაეტკბო დიდი კომპოზიტორების საოპერო მუსიკას, ქართველი მსმენელი ოცნებობდა ეხილა სცენაზე ქართული ოპერა, ესმინა მშობლიური ჰანგები...

როდის დადგება ნანატრი დღე, როდის შექმნება ქართულ სცენაზე ეროვნული ოპერა? — ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევდა მუსიკალურ თბილისს.

დაუვიწყარ, ბრწყინვალე ფურცლად ჩაიბეჭდა ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში 1919 წელი. ამ წელს თეატრში სამი ქართული ოპერა დაიდგა: ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე", დოლიძის „ქეთო და კოტე".

ახალდაბრუნებული იყო ზაქარია ფალიაშვილი მოსკოვიდან, სადაც კონსერვატორია დაამთავრა. ქართველმა ინტელიგენციამ იმედით მიაშურა ზაქარიას. ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ და მწერალმა პეტრე მირიანაშვილმა საოპერო ლიბრეტოსათვის საგანგებოდ გადაამუშავა ძველებური ლეგენდა „ეთერიანი". ზაქარია დიდხანს ამბობდა უარს ოპერის დაწერაზე — თავს საკმაოდ მომზადებულად არ თვლიდა. „აბესალომის" დაწერა მხოლოდ 1912 წელს დაიწყო. ოპერაზე მუშაობისას კომპოზიტორის ხშირი სტუმრები იყვნენ: ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ივანე ფალიაშვილი. ზაქარია ოპერაზე დიდი გატაცებით მუშაობდა. „აბესალომს" მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ უეცრად საშინელი უბედურება დაატყდა თავს ფალიაშვილების ოჯახს — გარდაეცვალათ ერთადერთი ვაჟი. სასოწარკვეთილებამდე მისულმა ზაქარიამ შესწყვიტა მუშაობა ოპერაზე... დიდმა დრომ განვლო, ვიდრე კვლავ მოვიდა გონს; ზარითა და ცრემლით აივსო აბესალომის არია „ვეძებდი ბედსა", აბესალომისა და ეთერის განშორების სცენა, მიჯნურთა სიკვდილის ეპიზოდი...

დადგა ნანატრი დღე. სცენაზე აჟღერდა „აბესალომ და ეთერი" და მასთან ერთად მთელი ერის სული, მისი საუკეთესო თვისებები, ფიქრები და ოცნებანი.

შორეული ხალხური ლეგენდა, მეფის ვაჟის აბესალომისა და უბრალო გლეხის გოგონა ეთერის უსაზღვრო სიყვარულზე, ფალიაშვილის გენიის ძალით ახლებურად გაცოცხლდა სცენაზე.

სიყვარული სიკვდილზე ძლიერია. ყოველივე უძლურია ამ დიდი, მაღალი და წმინდა გრძნობის წინაშე — აი ის იდეა, რომელმაც განაზოგადა ხალხური ლეგენდის შინაარსი და ოპერა უკვდავ ქმნილებად აქცია. „აბესალომი" სამართლიანად აღიარეს კლასიკურ ნაწარმოებად. იმ დროს არაერთი ქართველი კომპოზიტორი მიმართავდა საოპერო ჟანრს. მაგრამ ვერც ერთმა ღრმად, მხატვრული ძალით და გამომსახველობით ვერ შესძლო აესახა ერის სული, წარმოედგინა ხალხი ასე დიდებულად, მონუმენტურად. ვერავინ ჩასწვდა ისე ღრმად საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერების თავისებურებებს, როგორც ფალიაშვილი. ფალიაშვილი დიდია იმით, რომ არ შეიზღუდა თავი მხოლოდ ერთი კუთხის მუსიკალური ფოლკლორით. მრავალფეროვანი სასიმღერო შემოქმედების ღრმა ცოდნის საფუძველზე მან შექმნა ერთიანი ქართული მუსიკალური ენა.

ფალიაშვილის მუსიკალური ენა საფუძვლად და-

ედო ქართული მუსიკის შემდგომ განვითარებას. ამ ენით „ალაპარაკდნენ“ შემდგომ სხვა ქართველი კომპოზიტორები. პირველ დადგმისთანავე „აბესალომი“ ყველაზე პოპულარული გახდა. ერთი პატარა ფაქტიც კი მოწმობს ამას. 1923 წელს, ესე იგი, ოთხი წლის შემდეგ, თბილისის საოპერო თეატრში საზეიმოდ აღნიშნავდნენ ოპერის მე-100 წარმოდგენას. ამ საღამოს ერთმა ამბავმა გააოცა დამსწრენი: ერთერთმა მსმენელმა, რომელიც უბრალოდ მუსიკის მოყვარული აღმოჩნდა, წარმოადგინა „აბესალომის“ წარმოდგენის ასი ბილეთი. თურმე ის ოპერის ყველა სპექტაკლს დასწრებია ამ 4 წლის განმავლობაში!

„აბესალომ და ეთერს“ მოჰყვა „დაისი“ — ახალი ბრწყინვალე ფურცელი ქართული ოპერის ისტორიაში. ლიბრეტო ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ და მსახიობმა ვალერიან გუნიამ დაწერა.

თუმცა ორივე ოპერა ერთმა კომპოზიტორმა შექმნა, თუმცა მათში ბევრია საერთო, მაინც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება. „აბესალომი“ მონუმენტური მუსიკალური დრამაა, „დაისი“ ლირიკულ-დრამატული ოპერა, სადაც ყოველივე გაცილებით უფრო კონკრეტულია, „მიწიერი“, უბრალო. ოპერის ცენტრშია სამი ადამიანი. მათი სიყვარულისა და ეჭვიანობის ამბავი. ამბავი ვითარდება სახალხო დღესასწაულის — „ხატობის“ ჟანრულ, ხატოვან, ნაირფეროვან ფონზე. „დაისს“ აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი სპეციფიური თვისება; მოქმედება ხდება ერთ ღამეში და ერთსა და იმავე ადგილას— ტაძრის წინ. ეს ანიჭებს ოპერას განსაკუთრებულ ცხოვრებისეულობას, ქმედითობას.

„დაისში“ ფალიაშვილი გენიალურად ურწყავს ერთმანეთს ლირიკულ, ჟანრულ-საყოფაცხოვრებოს და ჰეროიკულ-პატრიოტულ ჟანრს. მაგრამ არ გავიგოთ, რომ „დაისი“ მხოლოდ და მხოლოდ სასიყვარულო დრამაა, ესაა ამავე დროს ხალხის პატრიოტული ბრძოლის დიდი, გაშლილი სურათი. საკმარისია გავიხსენოთ მეორე მოქმედების საფინალო ეპიზოდი, სადაც კომპოზიტორმა დიდი ოსტატობით გამოიყენა ქართული სალაშქრო სიმღერის „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“-ის ინტონაციები. მაინც რაშია „დაისის“ ასეთი დიდი პოპულარობის საიდუმლოება?! უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, მის არაჩვეულებრივ მელოდიურ სიუხვეში, მის ნათელ, ეროვნულ სიმღერებსა და საცეკვაოებში, მისი მუსიკის სილამაზეში.

„დაისი“ ყველასათვის გასაგები და საყვარელია, პირველივე ტაქტებიდან გაჯადოვებთ მისი მუსიკა!

არსებობს ხელოვნების ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც იმდენად შეესისხლხორცნენ ხალხს, რომ უცნაურადაც კი მოგვეჩვენება კვლავ მათი შეფასება. ქართველი ხალხისათვის ეს გახლავთ ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. ოპერა, რომელიც ყველამ ზეპირად იცის. და მაინც ყოველთვის ახლებურად ჟღერს. როდესაც ლაპარაკი ვიქტორ დოლიძეზე ჩამოვარდება ხოლმე. ყველას უკვირს, თუ როგორ შესძლო მან, მუსიკოსმა, რომელსაც სპეციალური საკომპოზიტორო განათლება არ მიუღია, დაეწერა ასეთი შესანიშნავი ოპერა!

ბუნებამ დოლიძე დიდი, ნათელი ნიჭით დააჯილდოვა. იგი კომპოზიტორად იყო დაბადებული, ბავშვობიდანვე, მშობლიურ ოზურგეთში შეესისხლხორცა გურულების თანდაყოლილ გონებამახვილობას, მხიარულ, ხალისიან ხასიათს, კომიზმს. საინტერესო ამბავი მაქვს მოსმენილი ცნობილი ქართველი რეჟისორის ალექსანდრე წუწუნავასაგან, რომელიც ამ ოპერის პირველი და ერთადერთი დამდგმელი გახლდათ:

„იმ პერიოდში, როცა ჩვენი თეატრი „აბესალომ და ეთერის“ დადგმას ამზადებდა, ოპერაში ახალგაზრდა კაცი მოვიდა. ხელში ნოტები ეჭირა. კიევიდან ახლად იყო ჩამოსული, არავინ იცნობდა. ითხოვა, ჩემი ახალი ოპერა დადგითო. ეს გახლდათ ვიქტორ დოლიძე, რომელმაც აქვსენტი ცაგარელის კომედია „ხანუმას“ მიხედვით დაწერა კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“.

დოლიძე საათობით იდგა დირექტორის კაბინეტთან, ითხოვდა, „ოპერა მოისმინეთ მაინცო“. ვერავინ იკისრა პასუხისმგებლობა სცენაზე უცნობი კომპოზიტორის ოპერის გატანისა.

ბოლოს მისმა შეუპოვრობამ ჩემი ყურადღება მიიქცია. ნოტები გამოვართვი, სახლში წავიღე და იმავე ღამეს გავეცანი. მხიარული, უბრალო, ნათელი მუსიკა ისე მომეწონა, რომ ამჯერად უკვე მე თვითონ ვთხოვე დირექციას ჩემი პასუხისმგებლობით დადგმულიყო.

და აი, პრემიერის დღეც დადგა! ვიქტორი საშინლად ღელავდა, მასზე არანაკლებ ღელავდა დირექციაც.

პირველ წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო, ისინი, ცხადია, ყველასათვის საყვარელმა ცაგარელის „ხანუმამ“ მიიზიდა.

პირველივე სწრაფმა, ხალისიანმა ჰანგებმა მსმენელი გაიტაცა. შემდეგ უჩვეულო ამბავი მოხდა: დამთავრდა პირველი მოქმედება თუ არა, დარბაზი რამდენიმე წუთში მთლიანად დაიცალა. ეს რა არის? ნუთუ ოპერა ჩავარდა? დირექცია, და ყველაზე მეტად, თვით კომპოზიტორი მღელვარებისაგან გახევდა!.. მაგრამ ყველაფერი ბედნიერად დასრულდა: თურმე ხალხი სალაროს მიაწყდა და მომდევნო ათი წარმოდგენის ბილეთები მეორე მოქმედების დაწყებამდე გაიტაცეს!...“

კიდევ ერთი ოპერა დაიდგა ჩვენს სცენაზე 1919 წ. ეს იყო დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ — პირველი ქართული ლირიკული ოპერა. ნიჭითა და მისწრაფებით ლირიკოს არაყიშვილს აქაც არ უღალატია თავის თავისათვის: მხატვრული ღირსებებით „თქმულება შოთა რუსთაველზე“ უფრო დაბლა დგას, ვიდრე ფალიაშვილის კლასიკური ოპერები, მაგრამ ცალკეული ნაწყვეტები ამ ნაწარმოებისა, როგორიცაა „ურმული“, „თამარის კავატინა“, „უვერტიურა“, ლირიკული არიოზო და დუეტი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში რუსი მსმენელი პეტერბურგში გაეცნო მელიტონ ბალანჩივაძის ერთმოქმედებიან ოპერას „დარეჯან ცბიერი“. მას საფუძვლად დაედო აკაკი წერეთლის დრამატული პოემა „თამარ ცბიერი“. შემდგომ ბალანჩივაძემ გადააკეთა ოპერა ოთხმოქმედებიანად და ამ ვარიანტით — დაიდგა ის ჩვენს სცენაზე. „დარეჯან ცბიერმა“ მნიშვნელოვანი ისტორიული როლი შეასრულა ქართულ მუსიკაში. ეს იყო ქრონოლოგიურად პირველი ეროვნული ოპერა ჩვენში. იგი აღსავსეა მღერადი ლამაზი მელოდიებით, ხალხური და ქალაქური სასიმღერო, სარომანსო ინტონაციებით. თვითონ საუცხოო მომღერალი-ბარიტონი ბალანჩივაძე ჩინებულად ერკვეოდა ადამიანის ხმაში. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენა მისთვის ახლობელი დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერული მუსიკალური ფოლკლორი.

ბალანჩივაძის ოპერაში პირველად, ფართოდ აჟღერდა პატრიოტიზმის თემა. მგოსანი გოჩა ნაწარმოების მთავარი იდეის მატარებელი — მორალურ გამარჯვებას აღწევს ცბიერ დედოფალთან ბრძოლაში. ბალანჩივაძეს ყოველთვის განსაკუთრებით იტაცებდა აკაკის პოეზია; ერთის მხრივ მისი ნათელი გულწრფელი ლირიკა და მეორეს მხრივ პატრიოტიზმის ღრმა, განზოგადოებული იდეა. აკაკის ნათელი, პოეტური ლექსების საფუძველზე აღმოცენდა მელიტონის რომანსები, რომლებსაც მოჰყვა ლირიკულ-დრამატული ოპერა.

ამრიგად, უფროსი თაობის კომპოზიტორებმა გაუკაფეს გზა მომდევნო თაობას უწინარეს ყოვლისა საოპერო ჟანრში. საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ოპერა კვლავ რჩება ფართო მსმენელის საყვარელ ჟანრად. მაგრამ, სამწუხაროდ, კლასიკური ტრადიციები სათანადოდ ვერ განვითარდა ქართული საბჭოთა მუსიკის ჩამოყალიბების პირველ წლებში.

ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების წინაშე დიდი სიძნელეები წამოიჭრა. ტრადიციულ საოპერო ჟანრში ახალი შინაარსი, ჩვენი თანამედროვეობა უნდა ასახულიყო. პირველი ცდები ამ მხრივ ეკუთვნით ი. ტუსკიას, შ. თაქთაქიშვილს, გ. კილაძეს.

დროთა განმავლობაში ქართული საოპერო ჟანრი ახალი ნაირსახეობებით გამდიდრდა, ლირიკული, ჰეროიკულ-პატრიოტული, საბავშვო ოპერებით.

განსაკუთრებით დიდი ძვრები მოხდა ქართულ საოპერო ჟანრში უკანასკნელ წლებში. შეიქმნა შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“ კ. გამსახურდიას მიხედვით და ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ ვაჟას მიხედვით. ორივე ოპერამ ჩინებულად განაგრძო კლასიკური ტრადიციები. „დიდოსტატის მარჯვენა“ — მონუმენტური დრამა — ანვითარებს „აბესალომის“ ტრადიციებს, ლირიკულ-ფსიქოლოგიური „მინდია“ „დაისის“ ხაზს აგრძელებს.

უსუსურია იმათი აზრი ვისაც ჰგონია, თითქოსდა საოპერო ჟანრი კვდება, მას მომავალი არ გააჩნია.

ოპერა, ხალხისათვის ყველაზე ახლობელი, საყვარელი, ყველაზე დემოკრატიული ჟანრი, იარსებებს მანამდე, ვიდრე ადამიანს ექნება მიდრეკილება მშვენიერებისაკენ.

**მირა ფიჩხაძე**

ჩვენი კალენდარი

# ივანე ჯავახიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

90 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის დაბადებიდან. ქართველოლოგიის ახალი ეტაპის შემქმნელისა და ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის სიცოცხლის ერთადერთ მიზანს მშობელი ხალხისა და მისი კულტურის სამსახური წარმოადგენდა.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 აპრილს (ძველი სტილით), თბილისში, პედაგოგის ოჯახში. უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და იქვე იქნა დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1908-1917 წ. წ. ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში ეწეოდა პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს (სხვათა შორის, ქართველებისათვის ქართულ ენაზედაც), საქართველოსა და სომხეთის ისტორიასა და ფილოლოგიაში.

1907 წ. ივ. ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“, რომლის მიზანი იყო ეროვნული კადრების მომზადება ქართველოლოგიაში, რასაც უნდა მოჰყოლოდა მეცნიერების ამ დარგის ცენტრის პეტერბურგიდან საქართველოში გადმოტანა. წრე, სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, დიდ საორგანიზაციო და სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. ცარიზმის ბატონობის პირობებში ქართული უნივერსიტეტის დაარსება შეუძლებელი აღმოჩნდა. მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ მიეცათ ივ. ჯავახიშვილსა და მის მოწაფეებს თავიანთი ოცნების განხორციელების საშუალება. 1918 წლის იანვარში თბილისში დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. ამ უდიდესი ეროვნული საქმის სულისჩამდგმელი ივანე ჯავახიშვილი იყო.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი დიდი ნიჭისა და ნებისყოფის წყალობით ფართო განათლება და კარგი მეცნიერული მომზადება მიიღო. ის დაეუფლა არამარტო თანამედროვე მთავარ ევროპულ ენებს, არამედ თავისუფლად სარგებლობდა, როგორც კლასიკური (ბერძნული, ლათინური), ისე აღმოსავლური (სომხური, სპარსული, სირიული) ენებითაც.

ივ. ჯავახიშვილმა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა თავისი მრავალტომიანი ნაშრომით — „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომლის პირველი წიგნი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.)“ პირველად 1916 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომში შესწავლილია ძველი ქართული საისტორიო მწერლობის წარმომადგენლების კლასობრივი თვალსაზრისი, მიზნები და მეთოდები, კრიტიკულად შემოწმებულია მათი ცნობების სიავკარგე და სხვ. ამ ნაშრომს დღესაც შენარჩუნებული აქვს თავისი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

ივ. ჯავახიშვილმა დიდი წყაროთმცოდნეობითი მუშაობის შედეგად შექმნა მეცნიერულად დადგენილ ფაქტებზე დამყარებული „ქართველი ერის ისტორია“, უძველესი დროიდან XVI ს-დე, ხუთ ტომად, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ორ ტომად, „ქართული სამართლის ისტორია“ სამ ტომად, „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“ ორ წიგნად, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ და სხვა. გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა მრავალი ნაშრომი ცალკე წიგნად თუ სტატიის სახით, რომლებშიც განხილულია საკითხები ქართველოლოგიის თითქმის ყველა დარგიდან.

ივ. ჯავახიშვილი თანაავტორია საშუალო სკოლის სახელმძღვანელოსი (პირველი გამოცემა), რომელსაც მისი სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა (1947 წ.).

ივ. ჯავახიშვილი 1938 წელს საბჭოთა მთავრობამ ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დააჯილდოვა. იმავე წელს მშრომელებმა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. 1939 წლიდან იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იყო.

ივ. ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს, სამეცნიერო მოხსენების კითხვის დროს. ქართველმა ხალხმა თავისი საამაყო შვილი მის მიერვე დაარსებული უნივერსიტეტის ეზოში დაასაფლავა.



# ზემლიაჩკა

(1876—1947).

შესრულდა 90 წელი პროფესიული რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის როზალია სამოელის ასულ ზემლიაჩკას დაბადებიდან. ზემლიაჩკა 17 წლისა ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1901 წელს იგი მუშაობდა გაზეთ „ისკრის“ აგენტად ოდესასა და ეკატერინოსლავში. 1903 წელს ოდესის ორგანიზაციამ ზემლიაჩკა რსდმპ II ყრილობის დელეგატად გაგზავნა. ამ ყრილობაზე ზემლიაჩკა მტკიცედ იცავდა ლენინურ პოზიციებს. პარტიის განხეთქილების შემდეგ ზემლიაჩკა ლენინელებს მიემხრო და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების წინააღმდეგ.

1904 წელს როზალია სამოელის ასულმა მონაწილეობა მიიღო „22 ბოლშევიკის“ თათბირში. თათბირის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელი ბოლშევიკური ჯგუფის დავალებით მან მუშაობა გააჩაღა რსდმპ III ყრილობის მოსამზადებლად. 1904 წლის ბოლოს ადგილობრივი ორგანიზაციების კონფერენციაზე ვ. ი. ლენინის წინადადებით ზემლიაჩკა აირჩიეს უმრავლესობის კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში. ბიუროს უნდა ეხელმძღვანელა პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის. როზალია სამოელის ასული იყო პარტიის მესამე ყრილობის (1905 წ.) მონაწილე პეტერბურგის ორგანიზაციიდან.

1905 წელს ზემლიაჩკა რსდმპ მოსკოვის კომიტეტის წევრი იყო. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი კვლავ ეწეოდა რევოლუციურ მოღვაწეობას მოსკოვში. 1906 წელს რსდმპ სამხედრო ორგანიზაციების პირველ კონფერენციაზე ზემლიაჩკა დააპატიმრეს, მაგრამ მალე გამოიქცა ციხიდან. 1907 წლის ოქტომბერში იგი კვლავ დააპატიმრეს. პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ, 1909 წელს, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ზემლიაჩკა გაიგზავნა ჯერ ბაქოში, ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მდივნად, შემდეგ — საზღვარგარეთ. საზღვარგარეთიდან იგი 1914 წელს არალეგალურად დაბრუნდა. 1915-1916 წლებში ზემლიაჩკა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის ბიუროს წევრი, ხოლო 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში ზემლიაჩკა მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის მუშათა შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. სამოქალაქო ომის წლებში იგი ფრონტის სამხედრო ნაწილების პოლიტგანყოფილების უფროსი იყო და არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში. ყირიმის განთავისუფლების შემდეგ ზემლიაჩკა პარტიის ყირიმის საოლქო ბიუროს მდივნად მუშაობდა. მომდევნო წლებში მუშაობდა მოსკოვის ერთ-ერთი რაიკომის მდივნად, შემდეგ ურალზე, იყო პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი... ზემლიაჩკა იყო ყველა პარტყრილობის დელეგატი (გარდა მე-5 ყრილობისა). იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.



# ჩვილი ბავშვის კვება

(დასასრული)

3-4 კვირიდან ბავშვს აუცილებლად უნდა მიეცეს ვიტამინი „დ“ სპირტზე მომზადებული — დღეში 1 წვეთი. ამას უნდა დავუმატოთ რძეში გალესილი მოხარშული კვერცხის მერვედი ნაწილი (2 გრამი). ეს რაქიტის პროფილაქტიკის მხრივ კარგ შედეგებს იძლევა. 2 თვის ასაკიდან კვერცხის გულის რაოდენობა უნდა გაიზარდოს ყოველ თვეზე — 1 გრამით; 6 თვისთვის კი შეიძლება ბავშვს ნახევარი კვერცხის გული მივცეთ დღეში ერთხელ. კვერცხი კარგად მოხარშული უნდა იყოს.

ბუნებრივი კვებისას ბავშვი 5 თვის ასაკამდე მხოლოდ დედის რძით უნდა იკვებებოდეს. შემდეგ ქალის რძეში არსებული ნივთიერებანი (განსაკუთრებით, რკინა, მარილები) ვერ აკმაყოფილებს მზარდი ორგანიზმის მოთხოვნილებას და ბავშვს შეიძლება განუვითარდეს სისხლნაკლებობა და სხვა დაავადება. ამის თავიდან ასაცილებლად, 5 თვის ასაკიდან ბავშვს დღეში ერთხელ აუცილებლად უნდა მიეცეს დამატებითი საკვები (რომელსაც დაეთმობა ძუძუთი ერთი კვება). დამატებით საკვებად შეიძლება გამოვიყენოთ: მაწონი, კეფირი, თავნაფქვი ბურღულის, სიმინდის ფქვილის, დანაყილი ბრინჯისა და უგრეხელის თხელი (5%) ფაფები. ერთი-ორი კვირის შემდეგ კი — ბოსტნეულის სუფ-პიურეებიც (ამას დაეთმობა ძუძუთი მეორე კვება).

შერეული და ხელოვნური კვების დროს დამატებითი საკვები მიეცემა 4 თვის ასაკიდან (ერთი თვით ადრე, ვიდრე ბუნებრივი კვების დროს) უკვე მაწვნის ნაცვლად. შეიძლება ფაფები მაწონს დაემატოს ან უფრო სწორად შეერიოს (ტოლი რაოდენობით) ყოველ კვებაზეც. ბოსტნეულის სუფ-პიურეს კი (ერთი-ორი კვირის შემდეგ) დაეთმოს ერთი მთლიანი კვება. ხაჭოს და კვერცხის გულის მიცემა შეიძლება განვავრძოთ იმავე დოზებით, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები.

დამატებითი საკვების მიცემისას დაცული უნდა იქნას შემდეგი წესები:

1. ახალ საკვებს ბავშვი თანდათანობით უნდა შევაჩვიოთ (ულუფის მცირე რაოდენობიდან). პირველად უნდა მიეცეს ერთი სახის ახალი საკვები.

2. დამატებითი საკვები უნდა მიეცეს შემთბარი და თხელი კონსისტენციის (5% ფაფები), შემდეგ კი თანდათანობით შეიძლება გავასქელოთ (10%-მდე).

3. დამატებითი საკვების მიცემის ხარჯზე ძუძუთი კვება თანდათან უნდა შემცირდეს და ბოლოს, 1 წლისთვის სულაც გამოითიშოს.

4. საკვების მიცემის დროს ბავშვი უნდა ავიყვანოთ ხელში და ვაჭამოთ ოდნავ წამოწეულ მდგომარეობაში.

5. შერეული კვების დროს (როდესაც ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ძუძუსაც წოვს) შესამატებელი საკვებს ვაჭამოთ აუცილებლად კოვზით და არა საწოვარათი.

6. დამატებითი საკვებიც კოვზით უნდა მიეცეს.

ძუძუთი კვების სიხშირე შემდეგნაირად უნდა შემცირდეს: 5 თვისთვის, სანამ ბავშვი დამატებით საკვებს იღებს, ძუძუ 4-ჯერ უნდა მივცეთ. მეორე სახის დამატებითი საკვების მიცემის შემდეგ ძუძუ მიეცემა უკვე სამჯერ. 8-9 თვისთვის ძუძუ უკვე ორჯერ მიეცემა (დილა-საღამოს), 10-11 თვისთვის ძუძუ მიეცემა ერთხელ (ღამე, დაძინების წინ), ხოლო 12 თვიდან ძუძუ ბავშვს აღარ უნდა მიეცეს (თუ ეს ზაფხულის თვეებს არ დაემთხვევა. ზაფხულში უკეთესია ძუძუს მიცემა ბავშვს არ აეკვეთოს, რადგან ამ თვეებში ხშირია ბავშვის კუჭის აშლილობა).

დამატებით საკვებს $6\frac{1}{2}$-7 თვიდან შეიძლება დავამატოთ ქათმის ან საქონლის ხორცის ნახარშზე მომზადებული სუფები; მერვე თვიდან მივცეთ მოხარშული, კარგად გალესილი ქათმის ღვიძლი, შემდეგ — საქონლის ღვიძლი, ორცხობილა, კისელი, კომპოტის წვენი, ხილის პიურეები. 8 თვის შესრულების შემდეგ დაემატება მოხარშული, საკეპ მანქანაში გატარებული საქონლის ხორცი 2-3 ჩაის კოვზის რაოდენობით, კვირაში 3-ჯერ. 9 თვეზე დავამატოთ მოხარშული ტვინი, ისიც 2-3 კოვზის რაოდენობით და თეთრი, ჩამბალი პური ან ფრანგული ფუნთუშა (ბულკი).

10 თვეზე — გატარებული, ორთქლში მოხარშული ხორცი სხვადასხვა სახით (ტეფტელი, კატლეტი), სქელი ფაფეული, პიურეები და სხვა. საკვებში დღეგამოშვებით უნდა შევანაცვლოთ ხორცის სატენი (ფარში) და მოხარშული, გალესილი კვერცხის გული (1 ცალი). 11-12 თვისათვის საკვები კიდევ უფრო მრავალფეროვანი უნდა გავხადოთ. ბავშვი ამ დროისათვის უკვე შეიძლება იღებდეს: ახალ თევზს, ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულ ხორცს (კატლეტი, ტეფტელი), ღვიძლს, ტვინს, სხვადასხვა სუფეულს (როგორც ხორცის, ისე ბოსტნეულისაგან კარაქზე მომზადებულს), კვერცხს (გულს), ხიზილალას (შეიძლება მიეცეს 6 თვის ასაკიდან), ბოსტნეულის პიურეებს (ისპანახის, მწვანე მუხუდოსი), ხაჭოს, ნაღულს, მაწონს, კეფირს, არაჟანს, კარაქს, ახალ ყველს, კისელს, კომპოტს, ხილის პიურეს და წვენებს; თეთრ პურს, ფუნთუშეულს, ორცხობილას, ნამცხვარს (პეჩენიას).

1 წლიდან ბავშვი გადაყვანილი უნდა იქნეს ოთხჯერად კვებაზე. წყალი ბავშვს ყოველთვის უნდა ვასვათ კვებათა შუალედებში, დღე-ღამეში დაახლოებით 1-2 ჩაის ჭიქის ფარგლებში. შოკოლადი ბავშვს არ უნდა მივცეთ სამ წლამდე.

ე. ბერი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# თუ დაიღალეთ...

ვინ დაიჯერებს იმას, რომ ჩვენ 5 ათასი წლის განმავლობაში არასწორად ვზივართ? მაგრამ ეს ნამდვილი ამბავია, რაც 1948 წელს შვედმა ექიმმა ბ. კერბლომ დაამტკიცა

ძველებური სკამები, სწორი, მაღალი საზურგით, თურმე არასწორად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. საქმე იმაშია, რომ მაღალი, სწორი საზურგე ტანს ნორმალურ მდგომარეობას უკარგავს, ადამიანის ხერხემლისათვის კი დამახასიათებელია ბუნებრივი მოხრილობა. ადამიანი სკამის საზურგეს უნდა ეყრდნობოდეს წელის არეთი და არა ბეჭებით. სწორედ ამიტომაა, რომ ამჟამად სკამებს დაბალი და დახრილი საზურგით აკეთებენ.

ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ადამიანის პოზას მისი შრომითი საქმიანობისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რატომ ხდება, რომ ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებისას ერთი დიასახლისი უფრო ადრე იღლება, მეორე კი არა? ალბათ, იტყვით, ერთს მეტი ფიზიკური გამძლეობა აქვს, მეორეს კი არაო. ეს შეიძლება სწორიც იყოს, მაგრამ — ნაწილობრივ.

აბა, დააკვირდით ქვევით გამოხატულ სურათებს: მეორე ნომრებად დახატულ ქალებს უფრო ბუნებრივი და მოსახერხებელი პოზა აქვთ. ამიტომ მათი შრომისუნარიანობაც უკეთესი იქნება.

ადამიანის ორგანიზმში მუდმივი წინააღმდეგობაა მომხრელ და გამშლელ კუნთებს შორის. თითოეული ჩვენი მოძრაობა მათ მოქმედებაზეა დამოკიდებული. ყოველივე ამას კი ცენტრალური ნერვული სისტემიდან გამოსული იმპულსები განაგებენ. კუნთების წინააღმდეგობაში მომხრელები ჯობნიან. ეს ფიზიოლოგიური კანონზომიერებაა.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სკამზე ვზივართ, წელში გამართული დიდხანს ვერ გავჩერდებით, და თუ წინააღმდეგობას გავუწევთ, მალე დავიღლებით.

როდესაც ადამიანი არაბუნებრივ პოზაშია, ის სტატიკურ დატვირთვას განიცდის და ორგანიზმიც მალე იღლება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჯდომის დროს წელში უნდა მოვიხაროთ! პირიქით, ყოველთვის უნდა ვეცადოთ ტანი პირდაპირ დავიჭიროთ, ბუნებრივი პოზა მივიღოთ და არა ისეთი, რომ იტყვიან — ,,სარგადაყლაპულივით" არისო.

მუდამ მოდუნებული სიარული, არასწორი



ჯდომა და სხვა საქმიანობა საბოლოოდ ჩვევაში გადადის და ტანის ნორმალური მდგომარეობის დარღვევას იწვევს.

ბევრი დიასახლისი ამა თუ იმ საოჯახო საქმიანობას არაბუნებრივ, დამღლელ პოზაში ასრულებს. შრომისუნარიანობის გაზრდისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ადგილის მოწყობას.

თუ სარეცხის რეცხვისას ტაშტს ძალიან დაბლა დავდგამთ, ამას მოჰყვება წელის ტკივილი და სწრაფი დაღლა. რა თქმა უნდა, რაკი ამას მივხვდებით, ტაშტი ოდნავ მაღლა უნდა ავწიოთ, მუშაობის პროცესში კი წელში ხშირად უნდა გავიმართოთ და 2-3 გაზმორებით გაზნექვითი მოძრაობა გავაკეთოთ. თუ ამას მკლავების მოძრაობასაც დავუმატებთ, სულ უკეთესი იქნება.

ერთ-ერთ სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში დაზგების ოდნავ ამაღლებამ შრომისუნარიანობა 12 პროცენტით გაზარდა.

ზოგი სამუშაოს შესრულება ფეხზე დგომითაა უკეთესი, ზოგის კი — პირიქით. დამტკიცებულია, რომ თუ ქალი სამუშაოს ასრულებს და მისი ხელებით მიყენებული ძალა 5 კილოგრამს არ აღემატება, უმჯობესია მუშაობის შესრულება ჯდომით, ხოლო თუ 10 კგ აღემატება — აუცილებლად დგომით.

ზეპირად ყოველივე ამის განსაზღვრა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მაგრამ ქალებმა პრაქტიკიდან იციან, ესა თუ ის სამუშაო რა მდგომარეობაში უნდა შეასრულონ და ამას უმეტესად ინსტიქტურად აკეთებენ.

არსებობს გარკვეული წესიც: თუ სამუშაო ადგილის სიმაღლე იატაკიდან 72 სანტიმეტრს აღემატება, საშუალო სიმაღლის ქალისთვის უმჯობესია დგომით მუშაობა.

მართალია, ერთიანი რეცეპტის მიცემა შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — თითოეულმა დიასახლისმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სამუშაო ადგილის სწორად მოწყობას, მაგიდისა და სკამების სიმაღლეს, თაროების განლაგებას და სხვა, განსაკუთრებით კი, შესაფერი მოსახერხებელი პოზის შერჩევას.

ოჯახში ქალს საქმეს რა გამოულევს, მაგრამ შეიძლება ყოველივე ისე გავაკეთოთ, რომ ნაკლებად ' დავიღალოთ.

მაგრამ თუ მაინც დავიღალეთ, მაშინ? მაშინ მივმართოთ ყველაზე ეფექტურ და რადიკალურ საშუალებას — ფიზიკურ ვარჯიშს. ზოგმა შეიძლება თქვას: განა დიასახლისს ოჯახში მოძრაობა აკლიაო? არ აკლია, მაგრამ ის სხვა მოძრაობაა და ორიოდე სასარგებლო რჩევის მიღება ზედმეტი არ იქნება.

თუ დიდხანს გიწევთ მოხრილ მდგომარეობაში ყოფნა, შესწყვიტეთ თქვენი საქმიანობა და გააკეთეთ რამდენიმე უკუზნექი მკლავების მოძრაობით. თუ სკამზე მჯდომს გიწევთ დიდხანს მუშაობა, ადექით, გაიარ-გამოიარეთ, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მოძრაობები შეასრულეთ სხეულის იმ ნაწილებისათვის, რომლებიც ნაკლებადაა დატვირთული.

დამტკიცებულია, რომ ერთი ხელის დაღლის შემთხვევაში, სრული დასვენების მაგივრად, თუ მეორე ხელით გავაგრძელებთ მუშაობას, პირველი გაცილებით უკეთ ისვენებს.

ყოველ შემთხვევაში, თუ გადაიღალეთ, აუცილებლად გაიარ-გამოიარეთ ოთახში ან ადგილზე იარეთ. ამ დროს ღრმად ისუნთქეთ ცხვირით.

ხანგრძლივად ერთსადაიმავე პოზაში ყოფნა ან ერთფეროვანი სამუშაოს შესრულება იწვევს სისხლის მიმოქცევის დაქვეითებას, ნივთიერებათა ცვლის პროცესის შენელებას, დაღლილობას, ტკივილებს, შრომისუნარიანობის დაქვეითებას და სხვა.

ყოველივე ამას კი სწრაფად აღადგენს რამდენიმე მარტივი ფიზიკური ვარჯიში.

**გივი ჟირმელაშვილი,**
სპორტის ოსტატი.

## როგორ მოვაწყოთ ბინა

# ჩვენი საცხოვრებელი და გემოვნების მოთხოვნილებანი

ჩვენი ხალხი მისი იდეოლოგიური და მატერიალური დონის ამაღლებასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ესთეტიკის საკითხებს. მას სურს, რომ ყველაფერი მის ირგვლივ — ქალაქი, ქუჩა, სახლი, ბინა, ყოველი საგანი იყოს არა მარტო მიზანშეწონილი და მოხერხებული, არამედ ლამაზიც. მას სურს განსაზღვროს, რა არის ნამდვილად მშვენიერი და რაზე თქვას დროულად უარი.

მაგრამ როგორია სილამაზის ცნება, როგორი უნდა იყოს ადამიანის გემოვნება და, საერთოდ, შეიძლება თუ არა ამაზე დავა? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ გემოვნებაში ვიგულისხმებთ არა ცალკეულ ადამიანთა გარკვეულ პირად მიდრეკილებას (რაც სავსებით ბუნებრივია და პოულობს გამოძახილს ცხოვრების მრავალფეროვნებაში), არამედ ადამიანების ცნებათა და წარმოდგენათა კრებულს სილამაზეზე, მის უნარს განასხვავოს ლამაზი მახინჯისაგან, დამოკიდებულებას ხელოვნების გარკვეულ ნაწარმოებთან, მის მიდრეკილებას — თუ რა ტანსაცმელს არჩევს, როგორი საგნები უყვარს, როგორ აწყობს თავის ბინას, როგორია მისი ქცევა საზოგადოებაში. თუმცა გემოვნება გაცილებით ღრმა ცნებაა — ეს არის ადამიანის უნარი დაინახოს, განასხვავოს, შეიცნოს სილამაზე თავის ირგვლივ. ეს არის ადამიანის მისწრაფება დაამშვენოს მთელი თავისი გარემო.

ამასთან ერთად გვინდა აღვნიშნოთ: ყოველ ჯანსაღსა და ნორმალურ ადამიანს აქვს მეტ-ნაკლებად სწორი წარმოდგენა სილამაზეზე. მაგალითისათვის მოვიგონოთ თუნდაც ჩვენი ქართველი გლეხკაცის კარმიდამო, მწვანე მოლი, დიდი საჩრდილობელი ხე, რაციონალური და დახვეწილი ოდა-სახლი, მისი ოთახების მარტივი და უაღრესად გააზრებული განლაგება, ოთახების სადა და ლამაზი ავეჯი, თიხის სურა მაგიდაზე, თიხის ჰურჰელი, რომელიც მუდამ იქმნებოდა სა-

ქართველოში და მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიიღო აღიარება და ახლა, როგორც ხელოვნების ნაწარმოებმა, საპატიო ადგილი დაიკავა სამხატვრო სალონებში. მოვიგონოთ სოფლელი კაცის ქცევა, სიდინჯე, სალამი ნაცნობისა და უცნობის მიმართ, — ეს ყოველივე წარმოადგენს ეროვნულ, ხალხურ გემოვნებას, მის შინაგან კულტურას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ადამიანის თუ საზოგადოების გემოვნება არაა მდგრადი, უცვლელი. იგი უეჭველად იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად; იცვლება საზოგადოებრივი წარმოება, ადამიანთა ურთიერთობა, მათი დამოკიდებულება შრომისადმი, შრომის შედეგებისადმი. ამასთან ერთად იცვლება მუშაობისა და ცხოვრების სტილი, თვით საგნები და მათი სტილი.

საბჭოთა ადამიანის, მოწინავე კულტურული ადამიანის გემოვნება მშვენიერებაში გულისხმობს იმას, რასაც შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში გააზრებული და გონივრული სილამაზე, რაც ანიჭებს ჩვენს ყოფას, შენობებს, საგნებს მოხერხებულობას და ხალისს. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი ზედმეტობისა, დაზვინვისა და ფუფუნების, ყოველივე ყალბისა და გადაჭარბებულის.

ადამიანის ყოფის კულტურა, პირველ ყოვლისა, ვლინდება მისი საცხოვრებლის მოწყობილობაში. ოჯახურ მყუდროებას, კარგად ორგანიზებულ ყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ნორმალური ცხოვრებისათვის. და იმის მიხედვით, თუ როგორ არის მოწყობილი ბინა, იგი ეხმარება ან ხელს უშლის ადამიანს ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, დღესაც, XIX საუკუნის ბოლო მესამედის წვრილბურჟუაზიული გემოვნებისამებრ, ჩვენი ბინების უმრავლესობა გადატვირთულია მოძველებული ავეჯითა და ზედმეტი ნივთებით, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მცხოვრებთა ნამდვილ, პირდაპირ მოთხოვნილებებთან. ასეთი საგნები იკავებენ ისედაც პატარა ოთახების თითქმის მთელ სივრცეს და ადამიანზე მთავარი ბინაში საგანი ხდება.

ამ ავეჯის უმრავლესობა უმოქმედოა და ადამიანის ცხოვრება მიმდინარეობს ფაქტიურად მისი მონაწილეობის გარეშე. უნდა ვერიდოთ ბინის დაზვინვას ყოველი ზედმეტი საგნით, ფართოდ გამოვიყენოთ ჩაშენებული ავეჯი, ყოველგვარი დამხმარე ფართობი ოთახებში მეტი სივრცის შექმნის მიზნით.

თვით ავეჯი და, საერთოდ, ყოველგვარი საოჯახო ნივთი უნდა იყოს სადა, მსუბუქი და მოხერხებული. მისი ფორმა ცხადად უნდა ავლენდეს მის დანიშნულებას ყოველგვარი უაზრო სამკაულებისა და ძვირფასი დეტალების გარეშე (რაც ხშირად საჭიროა მხოლოდ ნივთის ცუდი ხარისხის დასაფარავად), დიახ, დღეს აღარაა მიღებული ოთახების მორთვა ძვირფასი და უზარმაზარი გარნიტურებით, ხავერდითა და აბრეშუმით გადაკრული მძიმე სავარძლებით. უკვე დროა უარი ვთქვათ ძველებურ გობელენებსა და ხალიჩებზე, არშიებიან ბალიშებზე და პლუშის საფარებზე, ყოველივეზე, რაც ისრუტავს მტვერსა და ჭუჭყს, ფაიფურის მოცეკვავე ქალებსა და ძაღლებზე, ტრადიციულ შვიდ სპილოზე, რომლებიც თითქოს იცავენ ოჯახის კეთილდღეობას, ხელოვნურ ყვავილებსა და მეშჩანური ყოფის მრავალ სხვა ატრიბუტზე, რომელთაც ხალხი სახოვნად ხარა-ხურას უწოდებდა. დადგა დრო, დიასახლისებმა თანდათანობით დასთმონ ესოდენ საყვარელი სერვანტები და ბროლის ჭურჭლის რაფა, რომელთა ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოაჩინოს ოჯახის სიმდიდრე, მისცეს საშუალება დიასახლისს იამაყოს თავისი მეგობრებისა და ნათესავების წინაშე. ხშირად ასეთი სერვანტის ან რაფის უკანა კედელზე საგანგებოდ თავსდება სარკე, რომლის დანიშნულება სრულიად ცხადია — გააორკეცოს გამოფენილი ჭურჭლის რაოდენობა და ამით თვალი მოსჭრას ყველა მომსვლელს. განა ასეთი ხერხი შეესაბამება ჩვენს საზოგადოებას და არ არის მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ჩვევების გადმონაშთი?

ვერიდოთ უხამსობას, გავაძევოთ ჩვენი ბინიდან ყოველივე, რაც არ უპასუხებს ჩვენს მოთხოვნილებებს, ჩვენს კულტურას.

თანამედროვე ოთახის სილამაზეს განსაზღვრავს არა ნივთების სიმრავლე და ღირებულება, არამედ გემოვნებით მათი გაწყობა და შერჩევა, ფერისა და ფაქტურის მარჯვე გამოყენება, მორთულობის საგნების (ლარნაკი, კერამიკა, სურათები, ყვავილები) მკაცრი და გემოვნებით შერჩევა. საცხოვრებელი ბინის ყოველი საგანი უნდა უპასუხებდეს თავის დანიშნულებას. ოთახი, ავეჯი, ყოველივე რაც არსებობს ჩვენს ირგვლივ, უნდა იყოს ერთმანეთთან შეხამებული, სუნთქავდეს ერთი ცხოვრებით, ავსებდეს ერთმანეთს და ქმნიდეს საგნების ჰარმონიას.

თანამედროვე ავეჯი არის გაცილებით სადა, მოხერხებული, მოხდენილი და შედარებით იაფიც. მისი ფორმა ცხადად ავლენს მის დანიშნულებას და არაა დაფარული დეკორითა და მორთულობის ელემენტებით. ისევე, როგორც არქიტექტურაში უარი ითქვა ფასადების დაზვინვაზე ზედმეტი დეტალებით, ახალი ავეჯის სილამაზე განისაზღვრება კონსტრუქციის სიცხადით, კარგი და გააზრებული პროპორციებით, გლუვი ზედაპირითა და მაღალი ხარისხით. ავეჯის ახალი ფორმები განისაზღვრება არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით, არამედ თვით ტექნოლოგიის შეცვლითაც. თუ ძველი ავეჯის ღირსებას ძირითადად განსაზღვრავდა ხელოსნური წარმოება, ადამიანის მიერ დახარჯული დიდი შრომა, ამჟამად ავეჯი მზადდება ქარხნული წესით. ცხადია, რომ მანქანის ტექნოლოგიაზე გადასვლა სრულიადაც არ გულისხმობს მხატვრული დონის დაქვეითებას. იგი მხოლოდ ქმნის ახალ ფორმებსა და ნახატს.

ქარხნული წარმოება უზრუნველყოფს ავეჯის მრავალფეროვან, გაბედულ ფორმებს. ახალი მასალები: ხის ფილები, ფენოვანი პლასტიკი, ლითონი და ნეილონი ქმნიან



რეალურ პერსპექტივას, რათა შეიქმნას არა არქაული და მოდერნისტულად ღვარჭნილი, არამედ თანამედროვე, ჭეშმარიტად ლამაზი ავეჯი.

ბევრს შეიძლება დაებადოს აზრი: ეს ყოველივე კარგია, მაგრამ თუ თქვენს განკარგულებაშია ერთი ან ორი პატარა ოთახი და პირველ რიგში იმაზე ზრუნავ, თუ როგორ მოათავსო აუცილებელი ავეჯი და საჭირო საგნები, რა დროს ლამაზ ინტერიერზე ფიქრიაო? მაგრამ ეს არ იქნება მართებული აზრი. სწორედ ამ პირობებში უფრო აუცილებელია ზრუნვა სილამაზესა და მოხერხებულობაზე. ჩვენი საუბრების ციკლიც ამ მიზანს ემსახურება.

პროფესორი **ირაკლი ციციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რჩევა დიასახლისებს



თუ კბილები გაყვითლებული გაქვთ, გაიწმინდეთ საჭმლის სოდით, რომელშიც რამდენიმე წვეთ ლიმონის წვენს შეურევთ.

ყურადღება მიაქციეთ, როგორ გიჭირავთ ტანი: მხრები ჩამოყრილი არ უნდა გქონდეთ, ბეჭები —მოხრილი. როცა ტახტზე ან სკამზე ზიხართ, ფეხებს ნუ გადააჯვარედინებთ და ნურც უშნოდ დააშორებთ ერთმანეთს.

არასოდეს არ ჩაიცვათ სადღესასწაულოდ ჩაუცმელი ფეხსაცმელი. ახალი ფეხსაცმელი აუცილებლად ჯერ სახლში უნდა იხმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მშვენიერ საღამოს გუნება-განწყობა გაიფუჭოთ.

თუ განზრახული გაქვთ სადმე დიდხანს დარჩენა, ხელჩანთაში იქონიეთ სავარცხელი, პუდრი, პომადა და თავის ტკივილის საწინააღმდეგო ტაბლეტები, რადგან ხმაურმა, პაპიროსის სუნმა და ღვინომ შეიძლება თავი გატკინოთ.

გრიმის, დადება ეს ჩვენი საიდუმლოებაა და თუ დაგჭირდეთ გაპრიალებული ცხვირის დაპუდვრა ან ტუჩების ოდნავ შეღებვა, ნუ გააკეთებთ ამას სხვის შესახედად.

## ლიმონი საუცხოო ხილია

ლიმონის ქერქს ნუ გადაყრით. დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ ცოტა ხანს და მიიღებთ საუცხოო ნაყენს.

ლიმონი გამოწურვამდე რამდენიმე წუთით მდუღარე წყალში ჩადეთ, წვენი მეტი ექნება.

გაჭრილი ლიმონი რომ არ გახმეს და არ გაფუჭდეს, დადეთ ლამბაქზე მოჭრილი მხრიდან და ზევიდან დაახურეთ ჩაის ჭიქა. ასეც შეიძლება —თეფშზე დაასხით რამდენიმე წვეთი ძმარი, ზედ დააწყეთ ლიმონები მოჭრილი მხრიდან.

თუ ლიმონი გახმობას იწყებს, ცივ წყალში ჩაუშვით. ის შეინარჩუნებს არომატს და წვნიანობას.

## ნაბახუსევი მაიმუნები

სუდანის უღრან ტყეებში, ქალაქ ხართუმის ახლოს, უამრავი მაიმუნია. აქ მათ იჭერენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ზოოპარკებისათვის. მაიმუნების დასაჭერად მეტისმეტად თავისებურ ხერხს მიმართავენ:

მონადირეებს ტყეში მიაქვთ მაგარი ღვინით სავსე უზარმაზარი ბიდონი და ათობით ტოლჩა. ისინი მაიმუნების დასანახავად ტოლჩებში ღვინოს ასხამენ, მოსვამენ და მერე ბუჩქებში იმალებიან. ცნობისმოყვარე მაიმუნები ტოტებიდან დაბლა ეშვებიან და... იწყება ლხინი. მხიარულება მთავრდება მით, რომ ნაბახუსევი მაიმუნები მონადირეთა ტომრებში აღმოჩნდებიან.

## წმინდა ვეფხვი

კუნძულ სუმატრაზე ვეფხვი წმინდა ცხოველად ითვლება. ვერც ერთი ადგილობრივი მცხოვრები ვერ გაბედავს მის მოკვლას, დაჭერას ან დაჭრას (გამონაკლისია, თუ ვეფხვი ადამიანის სიცოცხლეს დაემუქრება).

როცა ევროპელები ვეფხვის დასაჭერად ხაფანგს გამართავენ და მასში მტაცებელი გაებმება, კუნძულის მცხოვრებლები ხაფანგთან მიდიან, იჩოქებენ და შესთხოვენ მხეცს, არ დასაჯოს ისინი, რადგან უდანაშაულონი არიან, მახე მათ არ დაუგიათ.

ლიმონის წვენი სასარგებლოა ცხიმიანი კანისათვის. თუ მას ცოტა შაქრის პუდრას დაუმატებთ, მიიღებთ საუცხოო ლოსიონს.

იცით თუ არა, რომ ლიმონის წვეთი წმენდს დანის პირს, აცილებს ჩაის, ჟანგის, სისხლისა და მელნის ლაქებს. გაყვითლებულ მარმარილოს უბრუნებს სითეთრეს, შავი ტყავის ჩანთებს —ბრწყინვალებას. წმენდს აგრეთვე სპილენძის ნივთებს.

## ოთხფეხა ძიძები

არაბეთის ნახევარკუნძულის უდაბნოებში მოხეტიალე არაბები თავიანთ სამი-ოთხი წლის ბავშვებს სტოვებენ არც თუ ისე ჩვეულებრივი ძიძების ხელში. ისინი ორ, ერთმანეთზე გადაბმულ ტყავის ტომრებს გადაჰკიდებენ სახედრებს. ერთ ტომარაში ბავშვია, მეორეში —პროდუქტები. პატარა ადვილად სწვდება საჭმელს. დატვირთული სახედარი არხეინად დასეირნობს, ბავშვების მშობლები კი ამ დროს თავიანთ საქმეს აკეთებენ.

## მმართველის სიცოცხლე მისივე ხელშია

ბრაზილიის ერთ-ერთი ტომის ბელადის შემცვლელი თვითონვე საზღვრავს თავის სიცოცხლეს. ტომის უხუცესებს გამეფების წინ იგი მიჰყავთ ზღვასთან და თვალებს აუხვევენ. ამის შემდეგ მან ცალი ხელით უნდა აიღოს მსხვილი კენჭები. იგი იმეფებს იმდენხანს, რამდენი კენჭის აღებასაც მოახერხებს.

ვადის გასვლის შემდეგ, მსახურებს ბელადთან მიაქვთ საწამლავით სავსე ფიალა... მისი დაკრძალვის მომენტში უხუცესებს ახალი კანდიდატი მიჰყავთ ზღვასთან...

### შეცდომის გასწორება

ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1966 წლის მე-2 ნომრის პირველ გვერდზე პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „ლორივით გაიჭიმა ბებერ მტკვარზე ახალი თრსართულიანი ხიდი. თავისი კონსტრუქციით, ნაგებობის სტილით იგი პირველია საბჭოთა კავშირში. არქიტექტორებმა შ. ყავლაშვილმა, ვ. ქურთიშვილმა, კონსტრუქტორმა გ. ქარცივაძემ დიდი სიყვარული ჩააქსოვეს ბარათაშვილის სახელობის ხიდის პროექტში. მისი სიგრძე მიწისქვეშა გადასასვლელების ჩაუთვლელად 150 მეტრია, სიგანე — 27 მეტრი. აქ თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა ფეხითმოსიარულეებსაც და მანქანებსაც".

გარეკანზე — ფრანს მაზერელის ლინოგრავიურები: პირველ გვერდზე — „უ რ ძ ე ნ ი", მეოთხე გვერდზე — „კ ო ს მ ო ს ი".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III 66 წ., ქაღალდის ზომა 60×92 ტირაჟი 71.000. შეკვ. 621. უე 02957 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქსოვის დაუსწრებელი სწავლება

## გაკვეთილი მე-2-ე

### თვლების მატება

**პირველი ხერხი.** გამოქსოვეთ ერთი თვალი და მეორე თვალის გამოღებამდე ძაფს მოსდეთ მარჯვენა ჩხირის წვერი, მერე ჩვეულებრივ გამოქსოვეთ მომდევნო მეორე თვალი (ნახ. № 1), რომ თვალსა და თვალს შორის აღმოჩნდეს გამოდებული ძაფი, რომელიც ორ თვალში მესამე თვალის დასაწყისია. მეორე გავლაზე ის გამოქსოვეთ, როგორც ჩვეულებრივი თვალი.

უკუღმა თვალის მატება იშვიათად ხდება, ისიც მაშინ, თუ ქსოვა მიმდინარეობს უკუღმა თვლებით აქაც ისევე ვუმატებთ, როგორც ზევითაა ნაჩვენები, ოღონდ ნამატი თვალის მისაღებად მარჯვენა ჩხირის წვერს ძაფს გამოსდებთ ჩვეულებრივი ნამატის საწინააღმდეგო მიმართულებით, ე. ი. უკუღმა, რომელსაც მეორე გავლაზე გამოქსოვთ როგორც ჩვეულებრივ თვალს.

მატება აგრეთვე შეიძლება შიგ თვალშიც. თვალში თვალს გამოიღებთ ჩვეულებრივი ქს კით შიგნიდან, ერთ თვალს ამავე თვალში გარედან გამოქსოვთ მეორე თვალს ისე, რომ ერთ თვალში ორ თვალს მიიღებთ გამოქსოვილს.

ორმხრივი მატების დროს შუაში არის ერთი წაღმა თვალი. ამ თვალის გამოღებამდე ჯერ გამოსდეთ ძაფი ნამატი თვალისათვის, მერე ეს თვალი გამოქსოვეთ სწორად, ამის შემდეგ ჩხირს მოსდეთძაფი ნამატი თვალისათვის და ასე განაგრძეთ ქსოვა. წაღმა თვალი ზღვარი უნდა იყოს ამ ორი ნამატი თვალისათვის. შეგიძლიათ ზღვარად დასტოვოთ ერთი, ორი, სამი, ოთხი თვალი...

ნამატი თვალის გამოქსოვა თვალის გადაგრეხით ისე უნდა მოხდეს, რომ ნამატ ადგილას არავითარი ნასვრეტი არ დარჩეს.

მეორენაირად ნამატი თვალი შეიძლება გამოქსოვოთ გადაუგრეხლად, ე. ი. პირდაპირ გამოქსოვით წაღმა ან უკუღმა თვალად. წარმოიქმნება ნასვრეტი, რომელიც მეტად ამშვენებს აჟურულ ნაქსოვს (ნახ. 2).

### კლება

მატების მსგავსად კლებაც ერთმხრივად და ორმხრივად შეიძლება. ყველაზე მარტივი ფორმა ორი თვალის ერთ თვალად გამოღებაა, ე. ი. ერთად გამოქსოვა.

ერთმხრივი კლება თავის მხრივ არის წაღმა და უკუღმა. წაღმა კლების დროს როგორც წაღმა თვლები იქსოვება, ასევე ორ თვალს წაღმა გამოქსოვთ ერთ თვალად (ნახ. 3). უკუღმა კლების დროს ამ ორივე თვალს უკუღმა გამოქსოვთ ერთად (ნახ. 4).

ორმხრივი კლების დროს ნაქსოვი უცბად ორი თვალით კლებულობს. ამიტომ ორმაგი კლება გამოიყენება მხარის, კუთხის, საყელოს და სხვა დეტალების გამოსაყვანად.

### თვლების გამოთვლა

დასაწყისი რიგის თვლების დადგენა რთულია. ამიტომ წინასწარ უნდა მოვამზადოთ თარგი.

დაიწყეთ ქსოვა 25 თვალზე. მოქსოვეთ სიმაღლით 25 რიგი. მიღებული ქსოვილი გააუთოვეთ. მერე ქსოვილის სიგანე და სიმაღლე გაზომეთ სანტიმეტრებით და ზომების გაგების შემდეგ დაადგინეთ თვლების რაოდენობა.

მაგალითად: 25 თვალი=5 სმ-ს, რომ მივიღოთ 25 სმ-ის სიგანის ნაქსოვი, საჭიროა 12 თვალი ან უფრო მარტივად: თუ ერთი სმ შეადგენს 2,5 თვალს და უნდა მივიღოთ 33 სმ-ს სიგანის ნაქსოვი, მაშინ 2,5×33=82,5 თვალს. აქ კი შეიძლება თვლების რაოდენობა დავამრგვალოთ, როგორც მომატებისაკენ, ისე მოკლებისკენ.

თუ ნაქსოვის სახე ისეთია, რომ ადვილად იწელება ე. ი. ფართოვდება, მაშინ შეგიძლიათ აიღოთ მაგ: 82,5 თვალის მაგიერ 82 ან 80 თვალი. თუ ნაქსოვი ნაკლებად წელადია, მაშინ აიღებთ 83, 85 თვალს.



ნახ N 1



ნახ N 3



ნახ N 5



ნახ N 2



ნახ N 4



ნახ N 6

თვლების რაოდენობის შედგენის დროს საჭიროა ყოველთვის მხედველობაში მიიღოთ ორი ნაპირის თვალი, რომელიც ზომაში არ შედის, ე. ი. მიღებულ თვლების რაოდენობას დაამატებთ ყოველთვის ორ თვალს.

## რეზინი

ერთი თვალი მოქსოვეთ წაღმა; ერთი თვალი მოქსოვეთ უკუღმა.

პირველი რიგი — წაღმა თვალი, უკუღმა თვალი; ასე რიგრიგობით ქსოვეთ თვლები ბოლომდე. მეორე რიგი ასე მოქსოვეთ: იქ, სადაც ქვედა რიგში წაღმა თვალია— წაღმა. იქ, სადაც უკუღმა თვალია — უკუღმა და ა. შ. ასე გააგრძელეთ სხვა რიგებიც ქსოვის დამთავრებამდე.

რეზინი მოქსოვეთ იმ ადგილას, სადაც მისი ჩასმაა საჭირო, მაგალითად: წელის ხაზზე, სამაჯეებზე, საყელოზე და სხვა. რეზინი იქსოვება გასაწყობებისთვისაც.

ახლა მოდაშია რეზინით ნაქსოვი კოფთები, კაბები, სვიტრები და სხვა. რეზინით ნაქსოვი კარგად დგება და სპორტულ იერს აძლევს ტანს.

რეზინის ქსოვა მოკლედ შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: 1 რიგი — 1 წაღმა თვალი, 1 უკუღმა თვალი, და ა. შ. ბოლომდე (ნახ. 5).

რეზინი შეიძლება მოქსოვოთ ორმაგი, ინგლისური და იტალიური. ორმაგი რეზინი ასე იქსოვება: პირველი რიგი — 2 წაღმა თვალი, 2 უკუღმა თვალი და ასე ბოლომდე.

მეორე რიგი ისე იქსოვება, როგორც პირველი. ორ წაღმა თვალზე გამოიქსოვება 2 წაღმა თვალი, მომდევნო ორ უკუღმაზე — 2 უკუღმა და ა. შ.

**ინგლისური რეზინი.** პირველ თვალს გამოქსოვთ წაღმად, მეორე თვალს ნამატი გამოუქსოვეთ მარჯვენა ჩხირზე გადავლებით. ასე გააგრძელეთ ერთი რიგი დამთავრებამდე.

მეორე რიგი — წაღმა თვალს გამოვიღებთ წაღმად ნამატთან ერთად, ვუმატებთ უკუღმა თვალს, გადავიღებთ მარჯვენაზე გამოუქსოვლად, ე. ი. წაღმა თვალი ნამატთან ერთად წაღმად გამოიქსოვება, შემდეგ მატება და უკუღმა თვალის გამოუღებლად გადატანა. ამ ორი რიგის დამთავრების შემდეგ მიიღება ნაქსოვის სრული სახე. გააგრძელებთ ქსოვას ისე, როგორც ეს ორი რიგია (ნახ. 6).

**იტალიური რეზინი.** სამი თვალი უკუღმა, ერთი წაღმა. ორივე მხარე ერთნაირად იქსოვება.

პირველი რიგი — პირველი თვალი გადაიტანეთ უცვლელად, შემდეგი სამი თვალი უკუღმა გადმოიღეთ, ერთი თვალი კი — წაღმა. ასე გააგრძელეთ ბოლომდე.

მეორე რიგი — სამი უკუღმა, ერთი წაღმა თვალი; მხოლოდ მეორე რიგის წაღმა თვალად გამოვქსოვთ პირველი რიგის 3 უკუღმა თვალს, ასე გააგრძელებთ ქსოვას ბოლომდე (ნახ. 7).



ნახ N 7

## ბუკლე—1

პირველი რიგი — ერთი თვალი წაღმა, მეორე — უკუღმა.

მეორე რიგი — იქსოვება როგორც პირველი: ერთი წაღმა, ერთი უკუღმა თვალი, ოღონდ სადაც პირველ რიგზე წაღმა თვალია, ის გამოიქსოვება უკუღმა, ხოლო უკუღმა თვალი გამოიქსოვება წაღმა.

ამ ორ რიგს დაამთავრებთ და ასე ამ წესით გრძელდება ქსოვა (ნახ. 8).



ნახ N 8

## ბუკლე—2

პირველი რიგი — ერთი წაღმა, ერთი უკუღმა;

მეორე რიგი — როგორც პირველი რიგი, წაღმა თვალს წაღმა გამოქსოვთ, უკუღმას — უკუღმა.

მესამე რიგი — თვალს შეცვლით ე. ი. ერთი წაღმა, ერთი უკუღმა. სადაც მეორე რიგზე წაღმა თვალია, იმას გამოქსოვთ უკუღმა, ხოლო სადაც უკუღმაა — გამოქსოვთ წაღმა. ასე გააგრძელებთ ქსოვას.

## ბუკლე—3

პირველი, მეორე და მესამე რიგი — ერთი თვალი წაღმა, ერთი უკუღმა;

მეოთხე რიგი — ერთი წაღმა, ერთი უკუღმა, ოღონდ თვლებს შეცვლით: წაღმის ადგილას გამოიქსოვება უკუღმა, უკუღმა თვალი — წაღმა. ასე გააგრძელებთ ბოლომდე.

ავტორი ნინო გომიაშვილი-გვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენი საცხოვრებელი და გემოვნების მოთხოვნილებანი









ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178